ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132 — 5973

140
1986



# პიონერი

8
1986



ჟიური ზუსტად აფასებს ნორჩ არმიელთა ცოდნას.

თემურ ცაგარელი

ავტორის ფოტო

# «ცისკარი-86»



პარადის სარდალი ფოთოლა ფოთოლაშვილი პატაკს აბარებს გენერალ-მაიორ ს. იაცუკს.

საბრძოლო ავტომატის სწრაფად დაშლა-აწყობა ყოველმა მებრძოლმა უნდა იცოდეს.

„დაჭრილ" მებრძოლს დროზე უნდა შველა.

დუშეთში, პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის შემოგარენში, რამდენიმე დღეს უჩვეულო ჟრიამული იდგა: აქ გაიმართა 1985-86 სასწავლო წლის საკავშირო პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის — „ცისკრის" რესპუბლიკური ფინალი. 17-დან 23 ივნისამდე ჩვენი რესპუბლიკის რაიონებიდან გამარჯვებული ოცი საუკეთესო ნორჩ არმიელთა გუნდი ერთმანეთს შეხვდა პირადი და გუნდური პირველობისათვის ბრძოლაში.

ცურვა, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა, დაბრკოლების გადალახვა, ხელყუმბარის ზუსტი ტყორცნა, რუკის, სქემის, კომპასის გამოყენება, აზიმუტით სვლა — აი, იმ სამხედრო-სპორტულ სახეობათა არასრული სია, რომელთაც ნორჩი არმიელი ფრიადზე უნდა ფლობდეს და ასრულებდეს. ეს კარგად იცოდ-





ნენ მოხარდებმა და ამიტომ ძალასა და უნარს არ იშურებდნენ გამარჯვების მისაღწევად. ყველას სურდა ნამდვილი მეომრის სახელის მოპოვება. სროლაში საუკეთესოთა შორის საუკეთესოს სახელი დუშეთის მე-2 საშუალო სკოლის ნორჩმა არმიელმა ნანა ცოცხალაშვილმა მოიპოვა, მან ხუთი სროლიდან 47 ქულა დააგროვა და პირველობაც არავის დაუთმო. ხოლო გუნდური პირველი ადგილი 665 ქულით წილად ხვდათ თბილისის 72-ე საშუალო სკოლის ნორჩ არმიელებს. მეორე ადგილზე 533 ქულით ტყვარჩელელი ნორჩი არმიელები გავიდნენ, მესამე კი ლაგოდეხელ ნორჩ არმიელებს ერგოთ.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრი ცურვაში. გოგონებს შორის პირველი ადგილი არავის დაუთმო ქუთაისელმა ვიქტორია შჩერბაკოვამ, მეორე ადგილზე რუსთავის წარმომადგენელი ლიანა თუხარელი გავიდა, ხოლო მესამეზე — თბილისელი ხათუნა ბერიკაშვილი.

ვაჟებს შორის პირველი იყო რუსთაველი ოლეგ შელგინი, მეორე და მესამე ადგილები ქუთაისელებმა ალექსანდრე გუბელაძემ და დავით ფიჩხაძემ დაისაკუთრეს.

გოგონებს შორის მძლეოსნობაში ტოლი არ ჰყავდა მახინჯაურელ ირინა ბაუერს, მეორეზე გორელი მარინა ავეტისოვა გავიდა, ხოლო მესამე ადგილი გარდაბნელ ნარგიზ ელიზბარაშვილს ერგო წილად. ვაჟებს შორის ადგილები ასე განაწილდა: პირველი — ახალციხელი გიორგი გიქოშვილი, მეორე — ქუთაისელი კონსტანტინე კუხარევი, მესამე — თბილისელი ირაკლი რევია.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრი სამწყობრო მომზადებაში. ნორჩ არმიელთა გუნდებმა ლამაზი, მწყობრი, მტკიცე ნაბიჯებით და სამხედრო-პატრიოტული სიმღერებით ჩაიარეს ტრიბუნის წინ. კომპეტენტურმა ჟიურიმ ღირსეულად შეაფასა მათი მომზადება და პირველი ადგილი დუშელებს მიაკუთვნა, მეორე — მცხეთელ ნორჩ არმიელებს, ხოლო მესამე ადგილი ცხინვალელ მოსწავლეებს ხვდათ წილად.

ნორჩმა არმიელებმა სრულად გამოავლინეს თავიანთი ცოდნა სამოქალაქო თავდაცვის სფეროშიც.

საპრიზო ადგილები საუკეთესოებმა დაიკავეს: პირველი ადგილი ლაგოდეხელ, მეორე — ყვარლელ, მესამე — ტყვარჩელელ ნორჩ არმიელებს ერგოთ.

წარმოუდგენელია არმია სამედიცინო-სანიტარული ნაწილის გარეშე. ასე რომ, ნორჩმა არმიელებმა ეს საქმეც ზედმიწევნით უნდა იცოდნენ, რათა დროულად აღმოუჩინონ დახმარება დაჭრილ მეომრებს. ამ მხრივ შეუდარებელნი იყვნენ თბილისის, ახალციხისა და დუშეთის ნორჩი არმიელები (ადგილებიც, შესაბამისად, ასე განაწილდა).



სამედიცინო პუნქტი. პირველადი დახმარება აღმოჩენილია

სამხედრო საქმის „სპეციალისტები“ ერთიმეორეზე უკეთეს ცოდნას ამჟღავნებდნენ, მაგრამ აქაც მხოლოდ საუკეთესოები დაწინაურდნენ. მასპინძლები — დუშელი ნორჩი არმიელები — პირველ ადგილზე გავიდნენ. მეორე ადგილს ფოთელები დაეუფლნენ, ლაგოდეხელ ნორჩ არმიელებს კი მესამე ადგილი ხვდათ წილად.

დაბოლოს, როცა სამხედრო-სპორტული თამაშების ყველა სახეობაში დამთავრდა შეჯიბრი და კომპეტენტურმა ჟიურიმ საბოლოო შედეგები შეაჯამა, პირველი ადგილი თბილისის 72-ე საშუალო სკოლის, მეორე — ლაგოდეხის მე-2 საშუალო სკოლის, მესამე — გორის მე-12 საშუალო სკოლის და მეოთხე — დუშეთის მე-3 საშუალო სკოლის ნორჩ არმიელებს მიაკუთვნა.



◀ მიმდინარეობს გამოცდა სამწყობრო მომზადებაში.

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

8 აგვისტო 1986



ინტერვიუ ტელევიზიისათვის.

ახლა, როცა ადგილებიც განაწილდა და მღელვარებამაც ჩაიარა, ნორჩ არმიელებს მაინც არ ასვენებდა ერთი ფიქრი — „ნეტა როდის იქნება?“ ოცივე რაზმმა იცოდა, რომ შეჯიბრების პერიოდში უნდა გამოცხადდეს სასწავლო-საბრძოლო განგაში, მაგრამ როდის? ეს კი არავინ უწყოდა. და აი, 22 ივნისს, გათენებისას (ეს ის დღეა, როცა გერმანელი ფაშისტები თავს დაესხნენ ჩვენს დიად სამშობლოს) მოულოდნელად გაისმა სირენის გამყინავი ხმა. წუთზე ნაკლები, სულ 40 წამი და — 400 ნორჩი არმიელი სრული საბრძოლო აღჭურვილობით უკვე მწკრივში იდგა. „მეომრებს“ აუწყეს, რომ „მტერმა“ ირმისაანთკარის მისადგომებში დესანტი გადმოსხა და საჭიროა მისი დროულად გაუვნებლება. ცოტაც და, „სამხედრო ნაწილი“ პირობითი მტრის დესანტის შესახვედრად გაემართა. ტყიანი მთის ფერდობზე აკაკანდა ავტომატები, ზედიზედ ისმოდა აფეთქებების ხმა. ხისგან გამოთლილი თვითნაკეთი ავტომატებით ხელში წინ მიიწევდნენ „მეომრები“, ზუსტად ისე, როგორც ნამდვილ ომში. მზვერავებმა მალე აღმოაჩინეს ხეებსა და ბუჩქებში მიყუჟული „მტრის“ მედესანტეები, „დამფრთხალი მოძალადეები“ ტყვედ ნებდებოდნენ... მალე ყველაფერი მიყუჩდა, კანტიკუნტადღა ისმოდა სროლის ხმა. ბოლოს ისიც შეწყდა და უცებ მიწიდან ამოიზარდა უზარმაზარი სოკო — „იგრგვინა“ ატომურმა ბომბმა. ნორჩი არმიელები არ დაბნეულან. ამოქმედდა სამოქალაქო თავდაცვის რაზმები, საქმე გაუჩნდათ სამედიცინო-სანიტარულ ნაწილებს, მათ დროულად აღმოუჩინეს პირველადი დახმარება „დაზარალებულ მეომრებს“ — „ჰოსპიტალში“ გაამგზავრეს ისინი.

ატომური ბომბის აფეთქება, მტრის თავდასხმა, ბრძოლა, დაჭრილების მოვლა-პატრონობა და სხვა მრავალი, მართალია, მხოლოდ სამხედრო-სპორტული თამაში იყო. მაგრამ მომავალმა თაობამ შესანიშნავად გამოავლინა თავისი მზადყოფნა — თუკი საჭირო გახდება, ჩადგეს სამშობლოს დამცველთა რიგებში.

23 ივნისს, საკავშირო პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის — „ცისკრის“ XII რესპუბლიკური ფინალის საზეიმო დახურვის დღეს. უჩვეულოდ ღელავდა დუშელი ნორჩი არმიელი ფოთოლა ფოთოლაშვილი. ეს გასაგებიცაა — სწორედ მას დაევალა პარადის სარდლობა. მოდი და ნუ აღელდები: დუშეთის ცენტრალურ მოედანზე გოგონას პატაკი უნდა ჩაებარებინა თამაშის მთავარსარდლისათვის, გენერალ-მაიორ სერგეი იაცუკისათვის. ფოთოლა ფოთოლაშვილმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა.

შემდეგ დაიწყო ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი. დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. დაბოლოს, საღამოხანს, იგრიალა სალუტმა. ნაირფერმა მაშხალებმა გაანათა დუშეთის ცა და ნორჩი არმიელები 400 ანთებული ჩირაღდნით, საზეიმო სვლით, დიდების მემორიალისკენ გაემართნენ, რათა კიდევ ერთხელ ეცათ პატივი დიდ სამამულო ომში დაცემულთათვის.



ნორჩ არმიელებს დიდხანს ემახსოვრებათ გენერალ-მაიორ ს. იაცუკის მიერ ვიმპელისა და ფასიანი საჩუქრების გადაცემის წუთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ენის დიდი მოამაგე




1826

ქართველი ხალხის უკვდავ შვილთა თანავარსკვლავედში ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დიდი მწერალი ამასთანავე იყო დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ამ ხნის მანძილზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიაც ილიას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და მნიშვნელოვანი როლი არ შეესრულებინოს.

ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ განუყრელსა და არსებით მხარეს ყოველთვის წარმოადგენდა ბრძოლა ქართული ენის უფლებების დაცვისათვის, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის. აკადემიკოს აკაკი შანიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ეს ბრძოლა სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სახეს იღებს: ორიგინალურ ბელეტრისტულ ნაწერებში ის ქმნის უკვდავ სახეებს, წარმტაც სურათებს, ჭედს ქართულ სიტყვას, ნათარგმნ რომანში იძლევა მისაბაძ ნიმუშს იმისას, თუ როგორ უნდა იქნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები, ცისკრელებთან ბრძოლისას ერთი კალმის მოსმით აუქმებს ახალი სალიტერატურო ენისათვის ზედმეტად გამხდარ ასოებს, იანოვსკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოდებით იცავს ქართული ენის უფლებას და სხვა და სხვა".

ილია ჭავჭავაძე ერთი იმათგანია, ვინც განსაკუთრებული როლი შეასრულა როგორც ქართული მწერლობის, ისე სალიტერატურო ენის განვითარებაში. მან თავიდანვე განსაზღვრა, რომ ანტონ კათალიკოსის „სამი შტილის" თეორიის ჯებირებში ჩაკეტილი სამწერლო ენა საჭირო სამსახურს ვერ გაუწევდა ხალხს, ამ თეორიაზე დაფუძნებული მწერლობა არ გამოდგებოდა ხალხის ფართო მასების აღმზრდელად და წინამძღოლად. ამიტომ ილიამ ერთბაშად დალეწა ეს ჯებირები და სალიტერატურო ენაში გზა გაუხსნა ცოცხალი მეტყველების მძლავრ ნაკადს. „ხალხია ენის კანონმდებელი და არა ანბანთ თეორეტიკაო", — თავიდან ასე მკაფიოდ ჩამოაყალიბა მწერალმა თავისი თვალსაზრისი.

პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგა ილია ჭავჭავაძემ სალიტერატურო ენის გადახალისება-გახალხურების გზაზე, იყო ორთოგრაფიის გამართვა და ხელის აღება პრაქტიკული ღირებულების არმქონე რამდენიმე ასოზე (ჱ, ჲ, ჳ, ჸ, ჵ, ჶ, ჷ). ამათგან ჶ და ჷ ქართულ ანბანში მხოლოდ მე-18 საუკუნეში შემოიღეს, დანარჩენები კი ძველთაგანვე იხმარებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველად ისინი გარკვეულ ბგერებს აღნიშნავდნენ, შემდგომში კი ქართულში ეს ბგერები გაქრა (ზოგიერთი კილოს გამოკლებით) და მათი აღმნიშვნელი ასოების ხმარების წესიც დაირღვა. იმ დროისათვის, როცა ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ზემოხსენებული ასოების ხმარების მხრივ სალიტერატურო ენაში სრული არევ-დარევა სუფევდა; ბევრი პრაქტიკულად უკვე აღარ ხმარობდა ამ ასოებს, მაგრამ მათი საჯაროდ უარყოფა ვერავის გაებედა. ილიამ გადაჭრით უკუაგდო ეს ასოები და დამაჯერებლად დაასაბუთა მათი უსარგებლობა.

როგორც ცნობილია, ილიას დამოკიდებულებამ ზედმეტად ქცეული ასოებისადმი დიდი მღელვარება გამოიწვია უფროსი თაობის ლიტერატორთა შორის, მაგრამ, „მამების" წინააღმდეგობის მიუხედავად, ილიას თვალსაზრისმა გაიმარჯვა და მის მიერ შემოთავაზებული ორთოგრაფიული რეფორმა სულ მალე თავიდან ბოლომდე გატარდა სალიტერატურო ენაში.

თავის პირველსავე კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა", რომელიც „ცისკრის" 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, ილიამ არა მარტო ორთოგრაფია გაამარტივა, არამედ გადაახალისა და ხალხის მეტყველებას დაუახლოვა ენის ყველა მხარე: მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსური წყობა, ლექსიკა, მხატვრული საშუალებანი.

თუ რამდენად ახალი და უჩვეულო იყო ილიას ენა უფროსი თაობის არქაული ენის ფონზე, ამას კარგად გვიჩვენებს ის რეაქცია, რაც მისმა გაბედულმა გამოსვლამ გამოიწვია. „მამათა" თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი სარდიონ ალექსი-მესხიშვილი თავის „ანტიკრიტიკულ უსტარში" წერდა: „წრფელის გულით მოგახსენებ, თავადო ილია, რომ გულმტკივნეულად წავიკითხე მე, ქართველმა, ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა, იმ ქართველისა, რომელიც ამოდ დაღიღინებს საქართველოს მშვენიერი ლექსებით და სადა სიტყვაობაში კი ასე უწყალოდ ამახინჯებს და ამდაბლებს ქართულ სიტყვიერებას, და ამასაც სად? ქართული სიტყვიერების ჟურნალში. რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო, მდაბალი. არ ვიცი, ამ სამში რომელს მიეთვისება თქვენი კალამი. ჩვენში, სადაც იხმარება ნაცვალსახელი „იგი", ამ მაღალ სიტყვას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს" და არა სრულად მდაბიო ლექსი „როცა", რომლითაც იწყება პირველი სიტყვა".

როგორც ვხედავთ, დარბაისელ ქართველ დიდებულს არ მოსწონს ისეთი ჩვეულებრივი და უწყინარი სიტყვაც



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

კი, როგორიცაა „როცა", რომლითაც ილია იწყებს თავის პირველ კრიტიკულ წერილს („როცა გაგვახსენდება კოზლოვი და მისი პოეზია"...).

საჭირო იყო ილიასებური გამჭრიახი და პრინციპული მებრძოლის გამოჩენა, რომ ძველი სალიტერატურო ენის ჯებირები გაერღვია, ყური არ ეგდო ს. ალექსი-მესხიშვილისთანა მრჩეველთათვის და გაბედულად განევრძო წინსვლა ერთხელვე არჩეული გზით, ხოლო როცა მას და მის თანამებრძოლებს „ენის წახდენა" დააბრალეს, პირში მიეხლია მათთვის:

**ენა მაღალი,**
**მის სიღრმე, ძალი,**
**ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა,**
**პირველ თქვენგანმა,**
**იმა ბედშავმა,**
**მას მკვდრის სუდარა გადააფარა.**
**ენა მდიდარი,**
**თქვენს ხელში მკვდარი,**
**ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,**
**და ამასაც თქვენ**
**ცოდვად გვითვლით ჩვენ,**
**რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!**

ილია ჭავჭავაძე იყო ქართული სალიტერატურო ენის დიდი მოამაგე და ნორმათა კანონმდებელი, რომელმაც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენს ეპოქამდე განსაზღვრა მისი განვითარების ძირითადი გეზი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერლის მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან გზაზე მისმა ენამ, გრამატიკული ნორმების თვალსაზრისით, გარკვეული ცვლილებები განიცადა. სამოციან წლებამდე ახალგაზრდა მწერალი ძირითადად იმ ნორმების დაცვას ცდილობდა, რომლებიც ჯერ შინაური და შემდეგ სასკოლო განათლების გზით შეითვისა. სამოციანი წლებიდან კი დაიწყო ამ ნორმათა გადასინჯვა და ძირფესვიანი რევიზია, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი ცვლილება, ახალ ნორმებზე, ახალ ორთოგრაფიაზე გადასვლა.

ბევრ ენობრივ საკითხში ილია ერთბაშად და მტკიცედ დადგა ახალ პრინციპებზე (ასეთი იყო, კერძოდ, ე. წ. „ზედმეტ ასოთა" ამოღება), მაგრამ იყო ძნელად მოსაგვარებელი საკითხებიც, ისეთები, რომლებიც შედარებით გვიან დაისვა დღის წესრიგში. ამის გამო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების პროცესი საერთოდ კარგა ხანს გაგრძელდა.

სალიტერატურო ენის გახალხურებისათვის ბრძოლაში, ცხადია, ილია მარტო არ ყოფილა. ამ ბრძოლაში „თერგდალეულთა" მთელი თაობა იღებდა მონაწილეობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, დიდი სასიკეთო ცვლილებების მიუხედავად, მან ფორმათა მეტისმეტი სიჭრელეც გამოიწვია. სალიტერატურო ენაში თავი მოიყარა სხვადასხვა დიალექტის დამახასიათებელმა ფორმებმა და ლექსიკამ, გაჩნდა სადავო საკითხების მთელი წყება მორფოლოგიის, სინტაქსის, ტერმინოლოგიის სფეროში. დიდი ილია დაუცხრომლად ზრუნავდა ამ საკითხების მოსაგვარებლად და სალიტერატურო ენის ნორმების დასადგენად.

განუზომელია ილიას წვლილი ქართული ლექსიკის გამდიდრების საქმეში. ჩვენ არ გვეგულება მეორე ქართველი მწერალი, რომელსაც იმდენი სიტყვა შემოეტანოს ქართულ სალიტერატურო ენაში, რამდენიც ილია ჭავჭავაძემ შემოიტანა. შემოიტანაო, რომ ვამბობთ, აქ ვგულისხმობთ როგორც ძველი სიტყვების გაცოცხლებას, ისე მათ შემოტანას დიალექტებიდან, სესხებას სხვა ენებიდან, უმთავრესად კი ახალ სიტყვათა წარმოებას ქართულისათვის ბუნებრივი ყალიბის მიხედვით. მხედველობაშია მისაღები ილიას როლი სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტებისა და მისი ტერმინად ქცევის საქმეშიც.

ავიღოთ თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა **მამული**. ამ სიტყვას ქართულ ენაში ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: „სამშობლო და მიწა-წყალი, რომე-



ლიც ვისმე საკუთრებას შეადგენს და მემკვიდრეობით გადაეცემა მამიდან შვილს". ორივე ეს მნიშვნელობა ძველი ქართულიდან მოდის, მაგრამ ამ სიტყვის ზოგადი, ფართო მნიშვნელობა XIX საუკუნისთვის უკვე დაჩრდილული, მიფერფლილი იყო და „მამული" მხოლოდ მიწა-წყლის, ადგილ-მამულის მნიშვნელობითღა იხმარებოდა. მოვუსმინოთ თვითონ ილია ჭავჭავაძეს: „ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებას ჰნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბინასა, რომელიც ქვისა

და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიღაა".

შემდგომში სიტყვა **მამული** კვლავ აღდგა თავისი ფართო და დიდებული მნიშვნელობით, რაც ილიას, სავსებით სამართლიანად, XIX ს. სამოციანი წლების მოღვაწეთა დამსახურებად მიაჩნდა: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული" მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობით. ვისაც კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებული მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას".

სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის პირველი, ვინც ადრინდელი ძალა და ბრწყინვალება დაუბრუნა სიტყვა „მამულს", თვით ილია ჭავჭავაძე იყო. გავიხსენოთ, რა ხშირად ისმის ეს სიტყვა მის ლექსებში: „ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა", „მამულისა სიყვარულმა ძმობა გულში ჩაგვიყენა", „მამულს სიცოცხლე შევსწიროთ შვილურის ერთგულებითა", „მას დედის ძუძუ ტკბილი მხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!" „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!" და მრავალი სხვა.

მართლაც, სიტყვა „მამული" აქა-იქ XIX ს. პირველი ნახევრის ქართველ კლასიკოსთა თხზულებებშიაც გაიელვებდა ხოლმე „**სამშობლოს**" მნიშვნელობით (გავიხსენოთ გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდან": „გმირნო, მამულის მადიდნო" და სხვ.), მაგრამ ამ სიტყვის მთლიანად გაცოცხლება და მისთვის ძველი ძლევამოსილების დაბრუნება უთუოდ ილიას დამსახურებაა. ამ სიტყვის გააქტიურებას მოჰყვა მისგან სხვა სიტყვათა წარმოებაც (რის უნარიც არ აღმოაჩნდა მის სინონიმს — **სამშობლოს**): მამულიშვილი, მამულიშვილობა, მამულიშვილური, სამამულო. ამათგან მამულიშვილს ილია ხმარობდა ГРАЖДАНИН-ის შესატყვისად. შემდგომში ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა „მოქალაქე", „მამულიშვილმა" კი უფრო ამაღლებული და საპატიო მნიშვნელობა შეიძინა; მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს სიტყვა ილიას კალმის ნათლულია და მის მიერ არის გზაგაკაფული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ილია ზრუნავდა აგრეთვე მრავალი სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებაზე. ზოგი სიტყვის წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ მას საკმაოდ ვრცელი და საბუთიანი მსჯელობა აქვს გამართული. ასეთი სიტყვებია: დედაკაცი, მოურავი, წყალობა, მოწყალება, მიცვალება, მიცვალებული, (ქალის) გათხოვება, საკომლო (გადასახადი) და სხვანი.

ილია დაუცხრომლად იბრძოდა უცხო სიტყვებით ქართული ენის დანაგვიანების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი თვითონვე გზას უკაფავდა და ამკვიდრებდა ენაში ისეთ უცხოურ სიტყვებს, რომლებსაც ყველა ცივილიზებული ხალხი ხმარობს. აი, რას წერს ის ამის თაობაზე: „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგგვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხს, ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ვიხმაროთ... მე „ოსტროვები", „ლინიები" და სხვა გარმიანული სიტყვები... ამისთვის დავძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია, ვერ იპოვნიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს".

XIX ს. პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა სავსე იყო „ოსტროვების" და „ლინიების" მსგავსი „გარმიანული" სიტყვებით, რომლებსაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ილია ჭავჭავაძემ, მაგრამ მანვე გაუღო კარი ევროპული ენებიდან შემოსასვლელად ბევრ სიტყვასა და ტერმინს, რომლებიც დღეს ყველასათვის ცნობილია, ამ ასი-ასოცი წლის წინათ კი მათი მნიშვნელობა ბევრ ქართველს არც ესმოდა. ამიტომ იყო, რომ ილია ამ სიტყვებს სათანადო განმარტებებს ურთავდა და ისე აწვდიდა მკითხველს: „პროტექციონობა მოსარჩლეობაა", „პამფლეტი იქნება, თუ ძაგებაა, და რეკლამა, თუ ქებაა", „დიქცია სიტყვის მკაფიოდ გამოთქმაა", „მომხიბლავი ცდუნება სცენისა, რომელსაც ილუზიას ეძახიან", „მეცნიერება ხელოვნებისა, რომელსაც ესთეტიკას ეძახიან", „ცივილიზაცია ანუ წარმატებულობა ადამიანისა", „სია ანუ კატალოგი", „თვალი უდევნებია პარიზის სითბო-სიცივეებისათვის, ანუ უკეთ ვსთქვათ, ტემპერატურის მეტნაკლებობისათვის", „ნომინალური ფასი მამულისა შეადგენს უმცირეს ფასს მამულის ღირებულებისას, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, მინიმუმია მამულის ღირებულებისა", „საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი კონკურენციას ეძახიან", „საფრანგეთის კანონები წლის

ჩამატებასაც ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი ყალბის ღვინის კეთებასა“ და ა. შ.

მეორე მხრივ, ილია ძველი ქართული ლექსიკის წიაღში და ხალხის ცოცხალ მეტყველებაში ეძებდა ამა თუ იმ ცნების შესატყვისს და ცდილობდა გზა გაეკაფა ამ სიტყვებისთვის, სალიტერატურო ენაში დაემკვიდრებინა ისინი. ასე დაუპირისპირა მან „პივას“ ხალხში გავრცელებული სიტყვა **ლუდი**, „გიპსს“ — **თაბაშირი**, „კოპიოს“ — **ასლი**, „ტამოჟნას“ — **საბაჟო**. დღეს ეს სიტყვები ყოველი ქართველისათვის ნაცნობი და გასაგებია, მაგრამ ბევრმა როდი იცის, რა როლი შესრულა ილია ჭავჭავაძემ მათი გავრცელება-დამკვიდრების საქმეში.

ილიამდე სალიტერატურო ქართულში არავის უხმარია აგრეთვე ხალხის მეტყველებიდან აღებული ზოგი სიტყვა, მაგალითად, **ხილ-ხული**, **ფლასტი-ფლუსტი**, **ხამუშ-ხამუშად**, **გათქვირული**, **პირქუში**, **ავალა**, **დაფოლვა**, **თქვლეფა** და სხვანი.

ზოგიერთი სიტყვა თუ ტერმინი მწერალს ძველი ქართული ძეგლებიდან აქვს აღებული. მაგალითად, предположение-ს შესატყვისად ილია ხმარობს „საეჭვს“ და იქვე სქოლიოში ურთავს ასეთ განმარტებას: „საეჭვი — предположение. ამ აზრით არის ხმარებული ეს სიტყვა „ვისრამიანში“.

სხვაგან ილია **ხელისუფალ** სიტყვის გამო შენიშნავს: «исполнительный» „ხელისუფლება“ სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს ლიტერატურაში. აქედან არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე“. თითონ დასტურლამალში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ „ხელისუფალად“ წოდებულ არიან“.

მოხელე ილიამ მიუსადაგა რუსულ „ჩინოვნიკს“, რაც შეეხება „ხელისუფალსა“ და „ხელისუფლებას“, ეს სიტყვები სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა რამდენადმე შეცვლილი მნიშვნელობით, მაგრამ თვით სიტყვის მოხჩრეკა, აღდგენა და გაცოცხლება ილიას დამსახურებაა.

ცხოვრების აჩქარებულ მაჯისცემას ბევრი ისეთი ცნებაც მოჰყვებოდა, რომელთა შესატყვისი მზამზარეული სახით არც ძველ ქართულში მოიპოვებოდა, არც ხალხის ცოცხალ მეტყველებაში. საჭირო იყო ახლის შექმნა და ყველაზე მეტად სწორედ აქ გამოჩნდა ილიას ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიჭი და ენობრივი ალღო.

დღეს ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხმარობთ სიტყვა „წოდებას“ („მაღალი წოდება“, „საპატიო წოდება“, „მასწავლებლის წოდება“) და ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, თითქოს ეს სიტყვა უხსოვარი დროიდან არსებობს ქართულში, სინამდვილეში კი ეს დღევანდელი მნიშვნელობით ილიასგან მოდის.

დედამიწის, დედაბოძის, დედაენის და სხვა ამგვარ სიტყვათა ანალოგიით აქვს მწერალს წარმოებული **დედააზრი**, რომელსაც ის პრინციპის შესატყვისად ხმარობს. მსგავსადვეა ნაწარმოები **დედაარსი**.

ილიას შექმნილია სიტყვა **დაწესებულება**. Право-ს შესატყვისად მას სხვადასხვა დროს ნახმარი აქვს **უფლება**, **მართლიერება** და **რჯულიერება**. ასეთი პარალელური ფორმების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დიდი სიფრთხილითა და მზრუნველობით ქმნიდა ილია ნაირნაირ ვარიანტებს და როგორ ალღოიანად არჩევდა მათ შორის საუკეთესოს.

ილიასეული კომპოზიტია **მიწათმოქმედება**, წარმოქმნილი რუსული «земледелие»-ს ანალოგიით.

ილიას ენიდანვე იღებს სათავეს დღეს საყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული სიტყვები: აგებულება, აღმმიცემობა, ეროვნება, კაცობრიობა, მსოფლმხედველობა, მთავრობა, მმართველობა, მიმართულება, მოთხოვნილება, რწმუნება, ღირებულება, საქონელი, დასაქონლება, მიმოქცევა, შინაარსი, სინამდვილე, განყენებული, საერო, საზოგადო, საყოველთაო და სხვ.

ეს სიტყვები ილიამდე სალიტერატურო ენაში დადასტურებული არ არის, თანაც ილია მათ ხმარობს ისე მოზომილად და ახსნა-განმარტების დართვით, როგორც მას სჩვეოდა ახალ სიტყვათა შემოტანისას.

ერთ წერილში შეუძლებელია აღვნუსხოთ ილია ჭავჭავაძის მთელი დამსახურება ქართული ენის წინაშე, ის სალიტერატურო ენის ნამდვილი მესაჭე იყო, რომლის კვალიც სამუდამოდ დარჩა ერის ისტორიაში.

**ზურაბ ჭუმბურიძე,**
პროფესორი

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე   დ ი დ ე ბ ა შ ვ ი ლ ი

## მამულიშვილი

მამულს არგებს არა ფლიდი,
არა ის, ვინც გროშზე გვყიდის,
ნაღდი შვილი — ღონე მიწის,
ვინც სიმართლის ფასი იცის,

ვინც ბეჯითად შრომობს, იღვწის,
სამომავლო ალში იწვის...
საერთგულო საკადრისი
ეს სახელი ალალმისი!

## დავრგოთ, ვახაროთ

ტყე არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩვენი იმედი სარწმუნო.
ირემს უხარის, ქორბუდას,
ხეს რქები გაულაწუნოს.

სიო შრიალებს ფოთლებში,
მთა და ბარს ესალბუნება.
წყარო ლიკლიკებს კამკამა,
ყვავილებს ებულბულება.

ტყის ჩრდილში ცვარი ციმციმებს,
მზე თუნდ ანთებდეს თაკარას.
ტყეს ვერ აშინებს ავდარი,
ჩამონადენი ღვარღვარად...

ჰოდა, ყველა ვართ მოვალე,
ნერგი დავრგოთ და ვახაროთ,
რომ მუდამ გვემღერებოდეს:
მამულო, ტურფა ბაღნარო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ქინქლაძე

მხატვარი
კარლო ფაჩულია

მოთხრობა

# ფორონჯი



ნავსადგური უსწორმასწოროდ ჩაყრილი, ვეება კუბური ლოდებისაგან არის აგებული. ამ ტალღამჭრელებით ოდესღაც კარგა დიდი ფართობი წაართვეს ზღვას და ახლა სტიქია ქარბუქში თუ ამღლავნებს წყენას, როცა ღმუილითა და ზათქით ეხეთქება ლოდებს, იშხეფება, ბობოქრობს, თუმცა ბოლოს, დაოკებული, უკანვე ბრუნდება თავის უსაზღვრო კალაპოტში.

ახლა დარია, მშვიდი ზღვა მზეზე ნებივრობს. ბებერი თოლია კარჭაპის ანძაზე ზის, უძრავად მისჩერებია შორეთს, დროდადრო ახალგაზრდა ფრინველების ჭყივილზე თუ მიაბრუნებს თავს.

წყალში რომელიღაც დიდმა მოლურჯო თევზმა გაიელვა. თოლიამ თვალი მოჰკრა, მაგრამ ვერ გაარკვია, რა იყო. „დელფინი იქნებოდა", — და ფრინველმა კვლავ ფრთებში ჩარგო თავი.

ის დიდი თევზი რამდენიმე დღის წინ შემოვიდა ნავსადგურში, სტავრიდებისა და ქაშაყების დევნამ შემოიტყუა. ახლა გემები ხალვათადაა. აქაურობა მოეწონა — ბევრი სასუსნავია ირგვლივ, გემებიდან გადმოყრილი პროდუქტების ნარჩენებს უამრავი დიდ-პატარა თევზი ეხვევა. კიბორჩხალები, მოლუსკები, ხამანწკები და ქვირითი ხომ უთვალავია. აქაური ბინადრებისათვის ნაირგვარი წყალმცენარეებით დაფარული ნავსადგურის ფსკერი და კედლები ზღაპრული იალაღებია.

ეს დიდი თევზი ზუთხია, უფრო სწორად, ფორონჯი, — ატლანტიკური ზუთხის იშვიათი წარმომადგენელი, რომელიც დღეისათვის ასამდე თუ დარჩა პლანეტაზე, და ისიც მხოლოდ რიონში. ლაღად დაგელავს ფორონჯი ნავსადგურში, დასდევს წვრილ თევზებს, კიბორჩხალებს, ჯუჯა კალმახებს, ქექავს შლამს, შემდეგ მიწვება ძველი, ჩაძირული დოკის ფსკერზე და ისვენებს. ამ დღეებში შეიცვალა წყლის ბინადართა ცხოვრება, და ეს მეთევზეთა ნადავლსაც დაეტყო. ვერაფერი გაუგიათ მეთევზეებს, უძრავ ტივტივებს რომ ჩასჩერებიან, თუმცა წვრილი თევზების დევნით გართული ფორონჯი, ადვილი შესაძლებელია, წყლის ზედაპირზე გამოჩნდეს და შეამჩნიონ. მაშინ კი თავად მასზე დაიწყებენ ნადირობას მებადურები.

ეს დღეებია, მოლოს იქით, ღია ზღვაში კიდევ ერთი ფორონჯი დაცურავს და რაღაცას დაეძებს. ეს შედარებით მომცრო, ხვადი ზუთხია, რომელსაც წელს პირველად დაუდგა ტოფობის სეზონი და სწორფერს დაეძებს.

დიდი ფორონჯიც, უთვალავი ქვირითით სავსე ფორონჯიც მალე გამოვა ნავსადგურიდან, უკვე მერამდენედ გაემართება რიონის შესართავისაკენ, რათა მდინარეს აყვეს და მასში დააბუდოს შთამომავლობა. ისიც კარგა ხანია დაეძებს ხვად თანამოძმეს, რომელიც ტოფობისას მტაცებლებისაგან დაიცავს ქვირითს და მის დაჩეკვაში დაეხმარება. ასე დააწესა ოდითგანვე ბუნებამ და ატლანტის ოკეანის გონმიუწვდომელი სიშორიდან ამიტომაც შემოვიდნენ შავ ზღვაში ისინი.

ძუ ფორონჯი ახლა ძველი დოკის ფსკერზე წევს, დანაყრებულია, ისვენებს, თუმცა, ერთი მომცრო, სადაფისფერი სტავრიდა კი აღიზიანებს. კარგა ხანია, მოცურდა პატარა თევზი, ლამის ფორონჯის ცხვირწინ გაჩერდა და არც ეშინია. ბრაზობს გოლიათი, მაგრამ ამ ერთი ციცქნა სალუკმესათვის თავის შეწუხებაც ეზარება. ეს რაღაა?

შავზურგა, თეთრმუცელა დიდი თევზი გამოცურდა დოკის გვერდიდან, ლამაზი, გრძელი დინგი დაბლა დასწია და ჭკვიანი, მცინარა თვალები მიაპყრო ფორონჯს.

— მეც არ გამიკვირდა, ნავსადგურში ხშირად ვნადირობ და დღევანდელივით ხელმოცარული ჯერ არ დავრჩენილვარ. ალბათ, შენ დააფეთე თევზები.

— ალბათ. — ფორონჯი ჩააკვირდა მოსაუბრეს. — მგონი, დელფინი ხარ, მაღლა ტალღებში გიყვარს ცურვა.

— სადღაც თითქოს მეც მინახავხარ, მაგრამ ვერ გიხსენებ.

— ფსკერზე ვბინადრობ. შენ იქ თითქმის არ ჩამოდიხარ, ვერ შემამჩნევდი. გარდა ამისა, ჩვენ ცოტანი დავრჩით.

— ზუთხი ხარ! ხომ ასეა?

— ჰო, მაგრამ ისეთი არა, აქ რომ ბუდობს. ჩვენი



მოდგმისანი თითზე ჩამოსათვლელი ვართ. გვემტერებიან ადამიანები.

— ადამიანები? — დელფინი შეტოკდა. — ადამიანები ძალიან კეთილნი არიან, მე მათ კარგად ვიცნობ.

— არა. ჩვენი უბედურების მიზეზი კარგად ვიცი. აი, ახლაც, რომ გაიგონ ჩემი აქ ყოფნა, დიდიან-პატარიანად დამედევნებიან, რომ როგორმე მომიხელთონ.

დელფინი გაჩუმდა, თანაგრძნობით მიაჩერდა ფორონჯს. ამ უკანასკნელს კვლავ პატარა სტავრიდისკენ გაექცა თვალი, ეს უკვე მეტისმეტია, რა თავხედია. დელფინმაც შეამჩნია სტავრიდა, მიუახლოვდა.

— აქ რას უდგეხარ?

დელფინის ნესტოსხელაც არ არის პატარა თევზი.

— მეშინია.

— ვისი?

— კატრანის. ძლივს დავუსხლტი წელან.

— ჩვენი არ გეშინია?

— აღარ მაქვს არაქათი. თანაც, თქვენ იმხელები ხართ, ალბათ ჩემთვის არც გაირჯებით, თქვენი შიშით კი კატრანი აქ ვერ მობედავს.

— კარგი ეშმაკი ხარ, ოღონდ, ყოველი შემთხვევისათვის, ცოტა გვერდზე მიდექი, პირში ნუ ჩაგვივარდები.

ცოტა ხნის შემდეგ ფორონჯი ნავსადგურის გასასვლელისაკენ გაემართა, დელფინიც გაჰყვა.

ნავმისადგომებიდანნაირგვარი სატყუარებით გაწყობილი ანკესები ჩამოუყრიათ, რომლებსაც პატარა თევზები უტრიალებენ. ფორონჯისა და დელფინის დანახვაზე ყველა მიმოიფანტა.

წყალში მონოტონური ხმა დაირხა, ნელ-ნელა ახლოვდება, — ტრაულერი შემოდის ნავსადგურში. ფორონჯი ფსკერზე დაეშვა, უგანა ხომალდს.

დელფინს, პირიქით, მოსწონს გემი, მაღლა აიჭრა, ხრახნისაგან წამოჭრილ ტალღებში გაინავარდა, მხიარულად დაიკრიკინა და ის იყო ფსკერზე ჩაბრუნებას აპირებდა, რომ ტანზე ჩქმეტა იგრძნო. მაინცდამაინც არ სტკენია. გემიდან ერთმა მეზღვაურმა საჰაერო თოფი ესროლა, ისე, გასართობად, თუ მოვახვედრებო.

დელფინი ნავსადგურში დარჩა. ფორონჯი ზღვაში გავიდა, ტალღამჭრელებს შორს არ გასცილებია, ახლომახლო მიუყვება. ლოდებზე მრავალგვარი წყალმცენარე იზრდება, კიბორჩხალები, ნიჟარები და წვრილი თევზიც ბლომადაა.

წყლის ზედაპირზე დგაფუნი ატყდა. თევზი შეჩერდა, მაღლა აიხედა.

ჩვამები ნადირობენ ლიფსიტებზე. დასტრიალებენ დიდი, შავი ფრინველები ზღვას, სადაც კი მოჰკრავენ თვალს თევზების გუნდს, მოწყვეტით ეშვებიან, ფრთებს წყალზე სცემენ და დაბნეულ, დაფეთებულ მსხვერპლს გრძელი, ბოლომოკაუჭებული ნისკარტით მარდად იჭერენ. შეშინებული სტავრიდები, ქაფშიები და ქორჭილები აქეთ-იქით აწყდებიან, ზოგი სიღრმეს ჩაეფარა. არც იქ გაუმართლათ, საიდანღაც ორი თვალებდაცეცებული

კატრანი გამოვარდა და დაერია მათ. ელვის უსწრაფესად იჭერენ და სანსლავენ თევზებს ზღვის მგლები.

ფორონჯი გაბრაზდა, მძლავრი ბოლო დაიქნია, მაღლა ამოვარდა და ერთ კატრანს მუცელში ამორტყა დინგი. ნადირობით გართულმა კატრანმა რომ ამხელა განრისხებული თევზი დაინახა, თავზარდაცემული შუა ზღვისკენ გავარდა, კარგად ვერ მოზომა და ერთ დიდ მედუზას შეეფეთა, რომელიც თეთრი შლეიფივით წამოეხურა თავზე. ამან მთლად დააბნია კატრანი, აქეთ ეცა, იქით ეცა, ბოლოს თავის ქნევითა და ზიგზაგებით სადღაც გადაიკარგა. მართლაც რომ სასაცილო სანახაობა იყო. მეორე ზვიგენიც უმალ გაქრა იქიდან.

ჩვამები კვლავ ნადირობენ. ფორონჯმა ერთი პირობა იფიქრა, მოდი, ამათაც დავაფეთებო, მაგრამ მიხვდა, რომ ამას ვერ შეძლებდა. დანაღვლიანდა. სამწუხაროდ, ხშირადაა ასე, როცა სიკეთის გაკეთება გვინდა და არ შეგვიძლია, ან როცა სიკეთე არ გვინდა და შეგვიძლია. თუმცა... ფორონჯი ახლა დანაყრებული გახლავთ.

მზე ცის კენწეროზე მოექცა, გაშუადღევდა.

წყალი შაბიამნისფერი გახდა, თუმცა, ახლა მაისია, ზღვის ყვავილობაა და ალაგ-ალაგ ის მომწვანო-მოწითალოცაა. წყალმცენარეთა უამრავი თესლი, ყვავილი, მტვერი დატივტივებს ახლა ზღვაში და ეს ფერადოვნებაც ამის გამოა. თევზებიც სხვაგვარი გამხდარან, უფრო უპრიალებთ ქერეჭი, უფრო სხარტი და მოძრავნი არიან. ხამანწკებსაც ფართოდ დაუღიათ პირი, სუნთქავენ და პეპლის ფრთებივით ატოკებენ წვრილ, ბრტყელ ნიჟარებს. ლოკოკინებსაც დიდი ამბით გამოუფენიათ თავიანთი ნაპატივები სხეული, თავზე წამოუმხიათ მთელი ავლა-დიდება, — დაკრიალებული, მოხასხასე ნიჟარები, და ბიჭი ხარ, უბატონოდ ხმა გაეცი. დელფინები შორს გასულან ზღვაში და ჰორიზონტს ნამგლავენ, კრიკინებენ, ჰაერში ხტებიან. თოლიები ბუდეებისთვის ჩხუბობენ.

ზღვის ყვავილობაა, სიყვარულის, ლაღობის სეზონი დამდგარა.

ბევრი თოლია ღია ზღვაში, წყლიდან ოდნავ ამოწვერილი ხავსიანი ლოდის ქიმზე ზის, თავი ფრთებში ჩაურგია, მზეს ეფიცხება და თვლემს. მისი ყვავილხანობა წასულა, ახლა დიდი სიმშვიდის სეზონი უდგას, მოლივლივე ზღვისა და ჰორიზონტის ცქერით ერთობა. მან თავისი საფრენი, კარგა ხანია, იფრინა, თავისი დასაჭერი თევზიც დაიჭირა, თუმცა, ვინ იცის... ზღვაში ყველაფერი ხდება.

არავინ იცის, რამდენი გზა გაიარა ამ ორმა პატარა, მრგვალმა, თეთრმა ლოკოკინამ, ახლა ნედლ მარჯნებში რომ ჩამსხდარან და ერთმანეთს მიკვრიან. ერთი ნავსადგურში დაიბადა, მეორე ღია ზღვაში. სამი წელია, დაცოცავენ ისინი ქვეყანაზე და აი, დღეს, ზღვის ყვავილობისას, შემთხვევით, მაგრამ სამუდამოდ შეხვდნენ ერთმანეთს. განა მათი სიყვარული ნაკლები სიძლიერისაა, ვიდრე პლანეტის უდიდესი ბინადრების — ლურჯი ვეშაპებისა?

ნუთუ ვერ შეხვდება ერთმანეთს ატლანტის ოკეანიდან წამოსული ორი დიდი ფორონჯი?

მაინც, რა ემართებათ ზუთხებს? რატომ მოუწევთ გული ფსკერიდან მაღლა, თითქმის მთელი ტანით რომ ამოდიან მოლიცლიცე წყლის ზედაპირზე და ალესილი ფორეჯებით ხერხავენ ტალღებს. საიდან, რა განგებით გრძნობენ, რომ მათი პაემანი მზესთან, ცასთან ახლოს უნდა შედგეს, რომ აშისთვის ფსკერის სიბნელე და სიბლანტე აღარ გამოდგება?

აი, გაკვეთა წყლის სიმკვრივე აღგზნებულმა, ხორხისმიერმა ბგერებმა, რომლებიც ხვადმა ფორონჯმა გამოსცა, და თითქმის მთელი ორი კილომეტრის იქით მისწვდა ძუს ყურთასმენას. გაქანდნენ ერთმანეთისკენ ზუთხები, წყლის სარკე შხუილით გახაზეს მათმა ბოლოებმა და ნავსადგურის პლაჟთან ორი დიდი თევზი ერთმანეთს მიეახლა. ვიღაც ტურისტი იქვე წყალზე გაწოლილიყო და ნებივრობდა, დგაფუნმა შეაცბუნა, მოიხედა და ეს ყოველივე რომ დაინახა, ერთი ვაი-უშველებელით ნაპირისკენ გამოფართხუნდა.

— ზვიგენები! ზვიგენები! მიშველეთ!.. — დიდხანს ყვიროდა იგი და არა მარტო იმ დღეს, მთელი შემდგომი ცხოვრება დარწმუნებული იყო, რომ შავი ზღვა სავსეა ვეება ზვიგენებით და მეცნიერებს კი არაფერი გაეგებათ, რახან ამტკიცებენ, თითქოს აქ მხოლოდ მათი ტანმორჩილი ნათესავი, კატრანი ბინადრობდეს.

მზე სულ უფრო იძირებოდა ცაში, ზენიტს აღწევდა. ზღვა დღითიდღე მუქლურჯდებოდა, მაისმა გაიარა და ზაფხულმაც დოინჯი შემოიყარა. ჩამოცხა.

ახლა თევზაობის შუა სეზონია. მოლოზე დილაადრიან მოდიან მეანკესეები, დგანან ლოდებზე, ჩასჩერებიან წყალს, თითქოს დუმილსა და ლოდინში ბევრ თოლიას ეჯიბრებიან.

— შეხედე! — მეანკესე ბიჭმა ზღვაში მოზრდილი თევზების გუნდი დაანახა ამხანაგს. — კეფალებია, პალიასტომში მიდიან.

— რატომ ეტანებიან პალიასტომს?

— იქ ბალახობენ. ხო, ხო, ნუ გეცინება, იქაა მათი სამშობლო, ხმელთაშუა ზღვიდან ამიტომ ბრუნდებიან გაზაფხულზე.

— რა ლამაზებია! დაგიჭერია?

— რამდენიც გინდა.

— ალბათ ბადით.

— ანკესით. ბადით რატომ უნდა დამეჭირა, გასაყიდად ხომ არ მინდა.

— ამბობენ, კეფალი შემცირდა, მისი ჭერა აკრძალულიაო, ბაზარში კი ყოველდღეა მამასისხლად.

— ღამღამობით დიდი, მოსასმელი ან ჩასაგდები ბადეებით იჭერენ პალიასტომში. ეგ კიდევ არაფერი, სეინერებიც იჭერენ ტრალებით ზღვაში. თუ ხელი არ მოეცარათ, ერთ ჯერზე ორი-სამი ტონა უეჭველია. ახლა თუმანზე გადაამრავლე თითო კილოგრამი...

— შენ რა იცი?

— ვიცი. ეგ კი არა, ზოგიერთმა ისიც იცის, სად იყრიან თავს თევზთა ქარავნები. შეიკრიბებიან თურმე



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ლობნები, დაეწყობიან წყლის ზედაპირთან, კეფაც კი უჩანთ, მიყვებიან ერთ გზას და მიდიან. მისდევენ კატარღებით მონადირეები და არის თოფების ბათქა-ბუთქი. ერთი საფანტიც ყოფნით საცოდავებს, ამოტრიალდებიან გულაღმა და ფართხალებენ, სულ გადააწითლებენ ზღვას.

— ეს რაღაა? შეხედე!

— ვხედავ. რამხელებია! მოიცა... ზუთხებია!

— მართლა?

— ხო. აი, ესენი რომ დაგვაჭერინა!

— გაქრნენ, აღარ ჩანან.

— ეეჰ!

ჰორიზონტზე გემის სილუეტი გამოიკვეთა, — ქაფშიით დატვირთული სეინერი ბრუნდება ბათუმის მხრიდან. მან ეს-ესაა ნაპირიდან სამიოდე კილომეტრის მოშორებით, რიონის შესართავის პირდაპირ კეფალებს დააყარა ბადე. ბრაკონიერი კაპიტანი არ იშლის ძველ ჩვეულებას, კეფალების ქარავანის დანახვისას უმალ გასცა ბრძანება, ტრალი ჩაუშვითო.

ხრიალით ეფინება უზარმაზარი ბადე წყალს, ჩადის სიღრმეში, მოირკალა, მოწურა თითქმის ჰექტარი ზღვისა და ნადავლმა აადუღა იქაურობა. ხტიან, ჩქაფუნობენ ლობნები და კეფალები, ქამბალებიც მოყოლილან, წვრილ თევზს ვინღა ჩივის.

მეჯლისი აქვთ თოლიებს, მოსდევენ ტრალს და სანსლავენ თევზებს.

ააქვთ მძლავრ მანქანებს ბადე გემბანზე და ტრალის ბოლოსკენ მიედინება, თავს იყრის ნადავლი. კმაყოფილი იღიმება ხარბი კაპიტანი, ორ ტონამდე მაინც იქნება თევზი. კარგი ნადავლია.

ეს რაღაა, დელფინიც დაუჭერიათ? არა, რისი დელფინი! ზუთხია, დიდი ზუთხი.

— ფრთხილად! ბადე არ გახიოს! — მჭახედ გასძახის კაპიტანი.

ხვადი ფორონჯი გახვეულა ბადეში და საცაა გემბანზე აათრევენ. იბრძვის, დგაფუნობს, აქეთ-იქით აწყდება თავზარდაცემული თევზი, ალაგ-ალაგ მისმა ბასრმა ფორეჯებმა გახიეს ბადე, მაგრამ შიგ ვერ გატეულა, კეფალებმა უმალ ისარგებლეს და ერთიმეორის მიყოლებით მისრიალებენ ბადიდან. სეინერიდანაც შეამჩნიეს ეს და გამალებულნი ექაჩებიან ბადეს.

გაოგნებული ძუ ფორონჯი, რომელიც შორიახლო მიუყვებოდა სწორფერს, გააფთრებული დაეძგერა ბადეს. ქაღალდივით გაიხა ქაფშიისთვის გათვალისწინებული წვრილი ნაქსოვი. ხვადი ფორონჯიცა და თითქმის მთელი ნადავლი ხელიდან წაუვიდათ ბრაკონიერებს, — იგინებიან, იწყევლებიან, დანა პირს არ უხსნით.



წადით, თევზებო, ზღვაში! წადით, თოლიებო, ცაში!..

უკვე შორს არიან ფორონჯები, გამალებული მიჰქრიან სამხრეთისაკენ.

ნელ-ნელა ზღვის ლურჯი წყალი შექარვისფერდა. ძუ შეჩერდა, მეგობარს გამოხედა.

— აქ რიონის შესართავია. ზღვაში რაღას ვუცდით, შევუყვეთ სათავისაკენ, ისედაც დაგვიგვიანდა.

— მაშ, ეს არის? თორმეტი წლის წინათ, როცა ლიფსიტა ვიყავი, ამ მდინარეს ჩამოვყევი ზღვაში. შემდეგ მთელი ქვეყანა მოვიარე, თითქმის გადამავიწყდა აქაურობა, არ მეგონა, თუ ოდესმე გამახსენდებოდა. ამ გაზაფხულზე კი უეცრად საშინლად მომინდა აქ წამოსვლა.

ეღიმება ძუ ფორონჯს, მან იცის, რას ნიშნავს სათავის ძახილი. ხვადს კი წელს პირველი ტოფობა აქვს.

— მომყევი, დიდი და ძნელი გზა გველის. — ძუ ფორონჯი შესართავისკენ მიემართება.

მშვიდობით გევლოთ!..

უფრო შეიმღვრა რიონი — საქართველოს ყველაზე წყალუხვი და შლამიანი მდინარე. თევზები ახლა ქალაქის ტერიტორიაზე არიან. დაღლილი ჯარივით ნელა მოდის ადამისდროინდელი მდინარე. ადრე მას ფაზი ერქვა. ეს სახელი დღეს მხოლოდ სათავეს შემორჩა. ფასის მთის ელვარე ყინულებიდან თეთრი ბატკანივით გამოხტება პატარა ნაკადული და მოკუნტრუშებს ზარისაკენ. იქ, მაღლა, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ავლენ ფორონჯები, იქ ვერც მდინარის მერცხლები — კალმახები ადიან. იქ მყინვარები, უძირო ცა და ღრუბლებია.

რაზებთან შეჩერდნენ თევზები. რკინის კარები აღიმართა მათ წინ. დიდი ხნის წინათ რიონი ორად გაყვეს, ერთი ტოტი ძველებურად ქალაქში დატოვეს, მეორე კი, მოზრდილი, ჩრდილოეთისაკენ გაუშვეს. წყალდიდობებს უფრთხოდნენ ადამიანები და იმიტომ ქნეს ეს, მაგრამ ზღვამ იდროვა მაშინ. თუ სამი ათასწლეულის განმავლობაში უკანუკან იხევდა სტიქია, ახლა ველარავინ შეაჩერა იგი. აღარ შემოაქვს რიონს ძველებურად მიწა, და ჩამოირეცხა სანაპიროები, შეყლაპა ზღვამ იპოდრომი, სტადიონი, პლაჟი და ციტრუსების ბაღში გადააბოტა კარგა ხანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ ამისთვის წამოვიდნენ ოკეანიდან ფორონჯები, რომ აქ, თითქმის სათავესთან გაჩერებულიყვნენ? ეძებენ განბილებული თევზები გასასვლელს, მიუყვებიან რკინა-ბეტონის ზღუდეს. მათ ბედად რიონი ახლა ადიდებული არაა და ნავების გასასვლელად რამდენიმე ონჯარი გაულიათ ადამიანებს. გავიდნენ ფორონჯები შიგ და გაუდგნენ აღთქმულ გზას.

გადის დღეები, კვირეები, ჩათავდა ივნისი და ფორონჯები ვარციხესთან მიდიან. ასოც კილომეტრამდეა ზღვიდან აქამდე, აწი მაღლა აღარ წავლენ, ესაა მათი ბაღდადი, აქ ტოფობენ ზუთხები.

დღითი დღე სულ უფრო მოუსვენარი, ფიცხი ხდება ხვადი, უტრიალებს დინჯ ძუს, ეთამაშება, თავს აწონებს, მოშორდება უცებ, ავარდება წყლის ზედაპირზე, გადაივლებს მზეს, შემდეგ ფორეჯებითა და კუდით ჩასხეპავს წყალს, ჩაეშვება ფსკერისაკენ.

ლოდიანები შეარჩიეს თევზებმა, იქ დაისადგურეს. დროდადრო მაღლა რომ აიჭრება, ხვადი რაღაცნაირ, ხორხისმიერ, აგზნებულ ბგერებს გაუშვებს წყალში. ნეტავ შეეძლოთ მათი მოსმენა ადამიანებს, — როგორც ტყეებს ირმების მყვირალობა, ისე უხდებათ მდინარეებს ფორონჯების ტოფობა.

ეს რაღაა?

ზორბა, გავეშებული ზუთხი მოგელავს რიონში, მისწვდა მას შენი გამომწვევი ძახილი. ხედავ? რა თავხედია, სწორფერს გეცილება შენ, ვინც ზღვიდან მოაცილებდი მას, ვისთან ერთადაც ამდენ დავიდარაბას გადაეყარე!

აბა, შენ იცი, ფორონჯო!

ზის იქვე, ნაპირთან პატარა, სოფლელი ბიჭუნა, ჩასჩერებია ტივტივას და, როგორც ყველა მეთევზე, ოცნებობს დიდ ნადავლზე. მან კარგად არ იცის, რა არის დიდი თევზი, თუმცა მალე კი ნახავს. ეს რა ხდება?.. კამეჩები ჩხუბობენ წყალში?.. კამეჩებს რომ ფარფლები და ფორეჯები არა აქვთ?!

გაოგნებული მისჩერებია ბიჭუნა რიონს, რომელშიც ორი ვეებერთელა თევზის საშინელი დგაფუნი და შხრიალი ისმის. შეშინებული ბავშვი ბექობზე არბის და იქიდან დასცქერის ორთაბრძოლას, — არა, ამხელა თევზის დაჭერა მას ნამდვილად არ უნდოდა!

დახედეთ, იმარჯვა მომხდურმა და ბასრი კბილებით ლაყუჩებთან წაეტანა მეტოქეს. წასკდა სისხლი, აეწვა ჭრილობა ზუთხს. არა, თუნდაც ნაფლეთებად აქციონ, არ დანებდება, ოღონდაც, დალახვროს ეშმაკმა, ახლა ეს კბილები მოიშოროს და შემდეგ ბდღვირს აადენს ამ წყეულს.

თავგანწირულად გაიწია ხვადმა ფორონჯმა, აიგლიჯა მეტოქის კბილები და გააფრთებით წაეტანა მომხდურს. ახლა მისი ლოჯებიც გასინჯოს ვაჟბატონმა! ადვილად გაირღვა ზუთხის მუცლის რბილი ხორცი და ღვარად წამოსკდა სისხლი.

ახლა კი შეინძრა ძუ, მიუახლოვდა მეტოქეებს და მეგობარს დინგი წაჰკრა.

— ???

— დაეხსენ, ეგ ჭრილობა სახიფათოა.

გამოსცილდა მეტოქეს ფორონჯი და გვერდზე მიდგა. ერთხანს იყუჩა დაჭრილმა. მერე უცებ ელვის სისწრაფით გაქანდა მტრისკენ. არ ელოდა თავდასხმას ხვადი და მისი ლამაზი, ლურჯად მოელვარე ზურგი ვეება პირში მოიქცია მომხდურმა. მორჩა, ხერხემალს გადაუმსხვრევს, ახლა კი ყველაფერი დამთავრდა.

მაგრამ არა! ძუმ იცის მეგობრობის ფასი... რისხვამორეული მთელი ძალით დაეძგერა მოწინააღმდეგეს და ისე აჰკრა მტკივან მუცელში დინგი, მაღლა ავარდა თევზი, ზურგზე გადაბრუნდა, საწყალობელი ტოკვით გაჰყვა წყლის დინებას. მისი სიკვდილი არავის უნდოდა, ღმერთმა ქნას, გადარჩეს, დასანანია ასეთი ზორბა ფორონჯი, მაგრამ იმ მუხანათობას ამგვარად თუ გაეცემოდა პასუხი.

—ჭრილობის ნუ გეშინია, მალე მოგიშუშდება, — ამშვიდებს მეგობარს ძუ ფორონჯი და თავს თავზე ადებს.

მიდის, მიდუდუნებს დაყურსული რიონი, — ტოფობაა მის დიდ სხეულში.

„რა ლამაზები, ღონივრები არიან და როგორი ბოროტები ყოფილან“, — ფიქრობს ბიჭუნა თევზებზე.

●

განსაკუთრებულია შემოდგომის მზიან დღეს ზღვა, პირი დაუბანია თითქოს, ხასხასებს, კრიალებს, გიზიდავს, გეძახის. იცის ალბათ, წინ რომ ზამთრის შტორმებია და დიდი ხნით დაეკარგებიან სტუმრები. თუმცა სეინერები არც მაშინ დაოკდებიან, იქროლებენ რუხ ტალღებში, ქანცს გაუწყვეტენ თევზებს. მერე გარეული იხვები და ბატები გადააფუტებენ ზღვას. ეს ჯერ ადრეა. ახლა, შემოდგომის წვიმების წინ განაზებულია, დაქანცულია ნამზევი, ნატოფევი, ნასიყვარულევი ზღვა.

ბებერი თოლია ყველაზე მაღალი ლოდის წვერზე ზის, შერთვია ლურჯ უსასრულეთს და იცდის. წერტილიც რომ გამოჩნდეს ამ უსასრულო ზღვაში, იმასაც შეამჩნევს მისი მახვილი თვალი.

ზღვაში ორი ფორონჯი მიცურავს.

ნელა მიდიან თევზები, დაღლილნი არიან. განსაკუთრებით ძუ მოქანცულა, მისმა სხეულმა ხომ ასიათასობით ლიფსიტა დაუტოვა რიონს. გაზაფხულამდე მდინარეში დარჩებიან ლიფსიტები, ზურგზე პატარა ქაცვები გაუმაგრდებათ და შემდეგ უშიშრად ჩამოყვებიან დინებას. მათგან ათასები დაიხოცება, მაგრამ გადარჩენილნი გავლენ ზღვებში, ოკეანეებში და გააგრძელებენ ფორონჯების მადლიან ძოდგმას.

ვიღაც ყმაწვილი ლოდზე დამდგარა და ზღვას გაჰყურებს.

ტალღამჭრელებს კარჭაპმა ჩაუქროლა, გეზი სამხრეთისაკენ აიღო.

ბიჭი გემის უკან წამოშლილ ტალღებს აყოლებს თვალს, უცნაურ საგანს ხედავს, რომელიც აქეთ-იქით აწყდება და ხან თეთრად, ხან ლურჯად გამოკრთება.

ველარ მოუსწრია გემისაგან გაცლა ძუ ფორონჯს, ძრავას ხრახნი თავში მოხვედრია, დარეტიანებული, დასისხლიანებული წყლის ზედაპირზე ტივტივებს. ხვადი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორონჯი თავს დასტრიალებს, ცდილობს, ზღვის სიღრმეში შეიყვანოს, მაგრამ ვერაფერს შველის, დროდადრო ლოდებისკენ გამოიხედავს, — იქ მდგარი ადამიანების ეშინია.

წყალში პატარა თეთრი სხეული გაილანდა, დაჭრილ თევზს მიუახლოვდა და გაქრა.

ზებერი თოლია გულაღმა ამობრუნებული ფორონჯის მუცელზე დამჯდარა.

მზეზე ელავს ფრინველის ბასრი, გრძელი ნისკარტი.

ნადავლიც ამას ჰქვია, თურმე ამას უცდიდა ამდენ ხანს ზღვაზე, პირველი დაჰკრავს ნისკარტს, ის იგემებს სამეფო ლუკმას და შემდეგ თოლიების, ჩვამების ზვავი დაეცემა დიდ ფორონჯს, არც კატრანები დააყრიან ხეირს, — სისხლის სუნზე უმალ მოვარდებიან. კარჭაპიდან არაფერი შეუმჩნევიათ, თორემ ზუთხს სხვა ბედი მოელის.

ბიჭი ბეტონის ტროტუარზე ავიდა, იქ, სადღაც ლოდის ნამტვრევები მონახა, მობრუნდა, მარჯვედ გაუქნია თოლიას. ფრინველი დაფრთხა, ფრთები ააფართხუნა, მაგრამ არ ეთმობა ნადავლი. ბიჭმა მეორეჯერ გაუქნია ქვა და ზებერი თოლია ზანტად გაშორდა დაჭრილ თევზს.

„მოქცევას ლოდებისკენ მოაქვს", — ფიქრობს ბიჭი, ზღვაში ყველაზე ღრმად ჩადგმულ ლოდზე ხტება და უცდის თევზის მოახლოებას.

ხვადი ფორონჯი ყველაფერს ხედავს, თავგზააბნეული უტრიალებს გარშემო მეგობარს. ნელ-ნელა მოაქვს ტალღებს დაჭრილი თევზი ადამიანისაკენ.

ზებერი თოლია იქვე ტრიალებს, ბრაზობს, შურს, ეზიზღება ბიჭი, რომელიც ასეთ ძვირფას ნადავლს ართმევს.

ხვადი ფორონჯი უცებ ლოდებისკენ გამოქანდება. შეშინებული ყმაწვილი უკან იხევს. თევზი მთელი ძალით ხტება ჰაერში და ზედ ლოდის პირთან ეცემა წყალში. შხეფებით გალუმპული და მძლავრი დგაფუნით გაბრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ბიჭი სახეზე ისვამს ხელებს, გაოგნებული დაჰყურებს ვეება თევზს.

ხვადი ფორონჯი კვლავ მოჰქრის ლოდისკენ, კვლავ ხტება ჰაერში და აზავთებს წყალს, ოღონდ ამჯერად ბოლო ქვის ქიმს ჩამოჰკრა და ხორცი გადაიგლიჯა. სისხლმა იფეთქა ჭრილობიდან.

„შეაკვდება ამ ლოდს"... — ბიჭი სხვა, მაღალ ლოდზე ადის და მოშორებით დგება.

ხვადი ფორონჯი ოდნავ ცხრება, ძუსთან მიდის, თავს ურტყამს მუცელზე, ზღვისკენ აბრუნებს მეგობარს.

ბიჭი ნავსადგურისკენ იხედება, დოკზე მეზღვაურები დგანან, თამბაქოს აბოლებენ, ბადეს კერავენ, ლაპარაკობენ, იცინიან. ერთი მათგანი ამჩნევს ყმაწვილს და ეძახის:

— რაო, ზღვაში ჩავარდი?

— ჰო... ფეხი ჩამიცდა.

— არა უშავს, მზეზე გაფინე ტანსაცმელი, მალე გაშრება. გაგაწურინო?

— არა! — შეტოკდა ბიჭი. — მე თვითონ.

— შენ იცი.

სეინერი გუგუნით გადის ნავსადგურიდან.

ძუ ფორონჯი ტოკავს, ბოლოს იქნევს და წყალზე წრეს ხაზავს.

„გონს მოდის".

ხვადი კვლავ წაუბიძგებს და ოდნავ სცილდება ლოდს.

„ცოტაც... ცოტაც".

ფორონჯი უფრო მძლავრად იქნევს ბოლოს და ფარფლებს, მუცელზე ბრუნდება, წინ მიიწევს, შემდეგ ყოვნდება, ზიგზაგებით გვერდზე უხვევს, ჩერდება.

ხვადი უცდის.

ძუ თავს აბრუნებს მეგობრისაკენ და ნელა მიდის ჰორიზონტისაკენ.

„აწი არაფერი უჭირთ!" — გაღიმებულ ბიჭს წამწამებზე წყლის წვეთები უბრჭყვიალებს.

თოლია ნავსადგურისკენ მიფრინავს.

სეინერი ჰორიზონტისკენ იღებს გეზს.

„იქნებ, ვერ შეამჩნიონ... რატომ შეაყოვნეს სვლა?.. დაინახეს!.. სიღრმეში ჩადით, სიღრმეში, სულელებო!"

სეინერზე ფაციფუცია, გემბანზე მოჯარდნენ მებადურები.

ორი ვეება თევზის ზურგები წყალში ილანდება.

ხომალდმა გეზი იცვალა და ფორონჯებისკენ მოემართება.

ხვადს ესმის ძრავას გუგუნი და გამწარებული ეხლება ძუს, ანიშნებს, თავს უშველეო, შემდეგ სიღრმეში ჩადის. ძუც იქნევს ბოლოს და უჩინარდება.

„ასე!.. ყოჩაღ! აწი რამდენიც გენებოთ, იმდენი სდიეთ... რა?.. არა, შეუძლებელია... გაგიჟდა?"

ძუ ფორონჯი წყლის ზედაპირზე ამოვიდა, ძალა არ ყოფნის სიღრმეში ჩასასვლელად.

სეინერიდან ვეებერთელა ბადეს უშვებენ და თევზების ირგვლივ რკალავენ. ხვადი ფორონჯიც ამოდის მაღლა და გარს უტრიალებს ძუს.

ბადის რკალი ვიწროვდება, ცოტაც და, გვიან იქნება.

ხვადი ტორპედოსავით მოჰქრის, მძლავრად სცემს ბოლოს წყალს და ბადეს ზევიდან ახტება. ძუც ცდილობს მიჰყვეს მეგობარს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის.

რკალი ვიწროვდება.

„შენ მაინც გაიქეცი... რაღას უდგახარ... ბარჯს გესვრიან".

თოლია ზღვაში ბრუნდება.

ტრალის თავი სეინერზე აქვთ. ხვადი ბადისკენ მიჰქრის, მთელი ძალით ეჯახება დინგით, არღვევს კიდეც, მაგრამ ფარფლებით თავადაც იხლართება შიგ.

— აი, სულელი, თავად არ გაება?! — აღმოხდა ვიღაცას გემზე.

— ჯერ ამოვიყვანოთ! — პასუხობს მეორე.

ფართხალებენ, დგაფუნობენ ფორონჯები.

ბადე სეინერის რკინის მოაჯირზე მისრიალებს და მაღლა აქვს ორი დიდი თევზი.

„ნეტავ გაირღვეს"... — ნატრობს ბიჭი.

ფორონჯები გემბანზე ფართხალებენ და აქეთ-იქით ფანტავენ წვრილ თევზებს, ბადის ნახევებს, ქერეჭებს და სისხლის წვეთებს.

შემართული ბარჯების ბასრი პირი მზეზე ბრჭყვიალებს.

ბებერი თოლია სეინერის ანძაზე ტოკავს და გემბანს ჩამოჰყურებს.

არსებობს ძალა, რომელიც შეაჩერებს ამ ბარჯებს?!

## უცხოური იუმორი

— ყველა გამოცდაში ჩავიჭერი, გარდა ისტორიისა.

— კი მაგრამ, როგორ მოხდა?

— ისტორიაში აღარ გამომცადეს.

***

— რატომ ტირი, მარი?

— ჩემს და-ძმას ექნებათ საახალწლო არდადეგები, მე კი არა.

— შენ რატომ არ გექნება?

— იმიტომ, რომ მე ჯერ არ დავდივარ სკოლაში.

***

პატარა მიშელი სკოლაში მიდის. დედა უთვალიერებს ჩანთას და ხედავს, რომ მას ავტოკალამი არ მიაქვს.

— ოჰო! შენ გგონია, რომ შეიძლება მეომარი უთოფოდ წავიდეს ომში?

— როგორ არა, დედა, თუ ის გენერალია. — მიუგო მიშელმა.

***

— პიერ, რა უყავით წერილი, რომელიც ჩემს საწერ მაგიდაზე იდო?

— საფოსტო ყუთში ჩავაგდე.

— მაგრამ მისამართი რომ არ ეწერა?

— ო! მე მეგონა, რომ თქვენ არ გსურდათ მცოდნოდა, ვის სწერდით.

გერმანულიდან თარგმნა
ე. ბეჟანიშვილმა

უცხოური იუმორი



გამოზაფხულდა თუ არა, ორანჟერეაში ტრიალს მოუხშირეს ოთახის მეყვავილეებმა ირმა ჯაიანმა და ნატო თავართქილაძემ.

# ბუნების დიდი სიყვარულით

ნინო ხარაზიშვილი

ვ. მითაიშვილის ფოტო

ყვავილებთან გოგონები უფრო მეგობრობენო... ნურას უკაცრავად, მამლაყინწა ბიჭების მოგონილია! არა გჯერათ? აბა, ერთხელ მაინც ეწვიეთ ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა სადგურს, რომელი წრის სამუშაო ნაკვეთიც გინდათ დაათვალიერეთ, ნახეთ, თუ ბიჭები გოგონებს რაიმეში ჩამორჩებიან.

საქმე აქ ყოველთვის ბევრია, განსაკუთრებით, გამოზაფხულებულზე. თვალს უხარია, ისე ლამაზად გაყვავდება ხოლმე ნორჩების ზამთრის ნაამაგევი. სხვანაირად როგორ იქნება... თვრამეტი სახელწოდების წრეში გაერთიანებული 50 ჯგუფი მუშაობს დღეს ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში, მის წრეობრივ მუშაობაში კი 700 ყმაწვილია ჩაბმული. აი, რამოდენა მასშტაბები შეიძლება მიეცეს თურმე საერთო მოწადინებას..

დღეს გამორჩეულად კარგი ამინდია და ნორჩმა მეყვავილეებმა, მწვანე არქიტექტორებმა და ოთახის მეყვავილეთა წრის წევრებმა უსაქმოდ ვერ მოისვენეს... მზე დანავარდობს კარლია ორანჟერეაში, მერე ადგება, ქოთანში ჩასკუპებული ბეგონიიდან სხივების ასკინკილათი ბრაზილიური მონსტერის დიდ ფოთლებზე გადაინაცვლებს. ეს ტროპიკული იშვიათობა ბათუმელთა ორანჟერეის მშვენებაა. პირველი ნაყოფიც გამოუღია უკვე — ხშირ ფოთლებში აქა-იქ ილანდება სიმწიფეში შესული ანანასისებური რამდენიმე „მტევანი“...

სამუშაო სულ უფრო ძალაში შედის. ვინ ყვავილებს რწყავს, ვინ ნარგავებს მტვერს აცლის, ვინ მიწას ხელით უფხვიერებს. ბავშვებს სიამოვნებთ თავიანთი საყვარელი მასწავლებლების თამარ ჩაგანავასა და ავთანდილ ხომერიკის გვერდით შრომა. მათგან ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობენ. თამარ მასწავლებელი მთელ თავის სულსა და გულს, მთელ თავის სიყვარულსა და ენერგიას ახმარს მოზარდთათვის მცენარეთა ბიოლოგიის, მათი ბოტანიკურ-მორფოლოგიური მხარეების გაცნობას, სისტემატურად თვალყურს ადევნებს, ვინ როგორ შეითვისა საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებები, მცენარეთა გამრავლების პირობები. ამ ეზოს კი, რომ უყურებ, სულ ბატონი ავთანდილისა და მის მწვანე არქიტექტორთა ნახელავია: ეს ლამაზი ღობე-წნულები, გემოვნებით გაფორმებული ბორდიურები, ხეთა კუნძებით შექმნილი საინტერესო კომპოზიციები. ახლა გამხმარი მცენარეებისგან „დახატული“ პანოები და რაბატებიც ნახეთ... ეზოს შემოსავლელის გაყოლება-გამოყოლებაზე ადევნებული გაზონების ხელოვნებაც შეაფასეთ... ამას წინათ „წითელ წიგნში“ შეტანილი მცენარეების — კოლხური ბზის, კაკლის, ქართული ზამბახის 2.000-მდე ნერგი დააკალმეს ნორჩმა მეყვავილეებმა, 500 ეზოში დარგეს, დანარჩენი, ტრადიციისამებრ, ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებს დაურიგეს გასამრავლებლად. აქაც, გაიხედავ და თვალსაც და გულსაც უხარია — ეზო სავსეა ხუთწლიანი ბზებით, ქობულეთიდან, კინტრიშის ხეობიდან ამოტანილი



მინდია ჟღენტისა და ლადო გრიგალაშვილისთანა ათობით ბიჭს შეაყვარა ყვავილების მოვლა ავთანდილ მასწავლებელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულამაზესი გვიმრით — „სირაქლემის ფრთით", ვარდებით, უცხო დეკორატიული მცენარეებით — არტიშოკებით, იუდას ხით, თურქული მიხაკებით, მიხაკ „ფიშერით", ქართული ზამბახებით...

თქვენ ის უნდა თქვათ, სამკურნალო მცენარეთა შეგროვებისა და მოვლა-პატრონობის რამოდენა გამოცდილება აქვთ აქაურებს. აჭარის თითქმის ყველა რაიონი აქვთ მოვლილი სადგურის სამკურნალო მცენარეების წრის წევრებს, თავიანთი პედაგოგების — ლუიზა გუჯაბიძისა და ჟუჟუნა კაკაბაძის ხელმძღვანელობით აგროვებენ ხოლმე სამკურნალო მცენარეებს, თანაც, სადაც არიან, იმ რაიონის სკოლების მოსწავლეებსაც აცნობენ ხოლმე მათი გეგმაზომიერი კრეფის წესებს, ურჩევენ, რაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოსთვის ამ მცენარეთა ჩაბარების საქმეში. ასე მუშაობენ. ყოველწლიურად დიდძალ კალახოესა და ალოეს აბარებენ ბათუმის კოფეინის ქარხანას. ოპერაცია „მწვანე აფთიაქის" ფრიადოსნებიც ამიტომ ჰქვიათ. განა მარტო სამკურნალო მცენარეთა ცნობა იციან? აბა, დადექით და, ძველი ხალხური ჩვეულებისამებრ, პიტნის, ასკილის ან რომელიმე სხვა სამკურნალო მცენარის ნაყენის დამზადება სთხოვეთ... თანაც, ყველაფერს სხაპასხუპით ჩამოგითვლიან — მათ სამკურნალო თვისებებს, დოზებს, ბიოლოგიურ შემცველობას...

ტერიტორიის შემოვლისას ცოტა უფრო დიდხანს შეგაყოვნებენ ახლახან გაშენებულ პლანტაციასთან. ყველაფრიდან ჩანს, რომ აქ გამორჩეულად ემაყებათ ნორჩ სუბტროპიკოსთა (წრის ხელმძღვანელები — ნაზიბროლა დავითაძე და გულნარა სალუქვაძე) ხელით გახარებული მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. სხვაც ბევრი კარგი საქმე გაუკეთებიათ აქაურ ნორჩებს: სოსო ბაკურიძეს, დალი მახარაძეს, თეა ხომერიკს, ირინე კავაზაშვილს. ამას წინათ, „ჩაის კვირეულთან" დაკავშირებით, შესანიშნავი „ჩაის დღე" მოუწყვიათ... თანაც, უამრავი სუბტროპიკული მცენარე მოუმრავლებიათ: კვიპაროსები, ტუიები, აბალიები, დეიციები. მთელი ეს სიკეთე აჭარის სკოლების მოსწავლეებსაც აჩუქეს... მოიყვანეს და გაახარეს წაბლი და დეკორატიული მცენარეები... ესეც აქ შევიტყვეთ, თურმე ეს პიონერები ოპერაცია „სამშობლოს მწვანე სამოსელის" გამორჩეული აქტივისტები ყოფილან.

მცენარეთა გამოყვანაში მეყვავილეების შემდეგ ნორჩი მებაღეები (წრის ხელმძღვანელი — მარეხ ბარამიძე) ყოფილან რეკორდსმენები... ამას წინათ თესლით გამოუყვანიათ და დაუმყნიათ სხვადასხვა ჯიშის ტყემლის 500 ნერგი, ახლა ლეღვიც უხარებიათ, ღეროეული კალმის წესით გაუმრავლებიათ ხეხილის არაერთი სახეობა, თესლით მიუღიათ ფეიხოა და იაპონური ზღმარტლი — მუშმულა...

თვალს მოგტაცებთ ლამაზად ჩარიგებული პამიდვრისა და ბადრიჯნის ჩითილები. ცერცვიც დაუთესავთ ბავშვებს, კიტრიც, ლობიოც, სიმინდიც, ქართული და ბულგარული წიწაკაც, გოგრაც, და, ასე გასინჯეთ, ზანდურიცა და მახაც — უკვე გადაშენების გზაზე მდგარი ჩვენებური ხორბლის ჯიშები. ნორჩ მებოსტნეებს (მასწავლებლები — მარეხ ბარამიძე და ციალა მელუა) ლამაზ ქოთნებში ჩაუყრიათ ტორფ-ნეშომპალა... ჩითილს ცოტა ხანს გავაჩერებთ ამ ქოთნებში და მერე, უფრო მოფერიანებულს, ნიადაგში გადავანაცვლებთო...

ქედის რაიონის სოფელი დოლოგანი ბათუმთან ახლოსაა, ვერავინ დაიჟინებს, და... გზის სიშორეს არ უფრთხისო, სწორედ ჟუჟუნა მასწავლებელზე ითქმის. ჟუჟუნა კაკაბაძე ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მეკურდღლეთა წრის ხელმძღვანელია. იგი სისტემატურად ადის ამ სოფლის საშუალო სკოლაში. თუმცა... ჩვენ მთავარი ჯერ არ გვითქვამს, ის, რომ ამ რესპუბლიკური სადგურის მეკურდღლეთა წრე სწორედ დოლოგნის საშუალო სკოლის ბაზაზე მუშაობს. ვეებერთელა ვოლიერი თხუთმეტ სხვადასხვა ფერის კურდღელს დაუსაკუთრებია. ბავშვები დიდი ინტერესით უვლიან და სწავლობენ მათ.

უფრო საინტერესოაო, იქნებ ვერ თქვა, მაგრამ რაღაცით მაინც ჰგავს ნორჩ ჰიდრობიოლოგთა (მასწავლებელი არისტო მურადოვი) საქმიანობა მეკურდღლეებისას. თუმცა მისი „დაკვირვების ობიექტი" უფრო მრავალფეროვანია — ჰიდრობიოლოგები თბილი წყლების პატარა ცხოველებს სწავლობენ, ძირითადად, დეკორატიულ და სამრეწველო თევზებს, ხანდახან — ზღვის გოჭებსაც. ამრავლებენ წყალმცენარეებს — ვალისნერიას, რქაფოთოლას, ელოდეას, მათ რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეებსაც უგზავნიან.



მარინე მასწავლებლის ყურადღება უჩვეულოდ უხარია პატარა ელენე მამულაძეს — მიკროსკოპში განა ყველა უმცროსკლასელს ჩაუხედავს?!

დღემუდამ გამოულეველი სამუშაო აქვთ ნორჩ აგროქიმიკოსებს — თამრიკო ჭკუასელს, გუგული ბერიძეს, ზაზა გორგაძეს, მერი ზოიძეს. სწავლობენ ნიადაგში მიმდინარე ქიმიურ პროცესებს, აკეთებენ მის ანალიზს, არკვევენ სასუქების შემადგენლობას, ადგენენ მათ დოზებს. რჩევითა და კონკრეტული საქმით ეხმარებიან თავიანთ ნორჩ „კოლეგებს“ — მეყვავილეებს, მებოსტნეებს, მებაღეებს...

ეს, რაც შეეხება პიონერების წმინდა პრაქტიკულ საქმიანობას. ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს კი მარტო ამ მუშაობით როდი იცნობენ, არანაკლებ — იმ წრეების მუშაობითაც, რომლებშიც მოზარდები, უპირველეს ყოვლისა, სასკოლო საბუნებისმეტყველო საგნებს გაღრმავებულად სწავლობენ. ასეთია დაწყებითი კლასებისა (მასწავლებელი მარინე ანდღულაძე) და ფენოლოგთა (მასწავლებელი სვეტლანა აბულაძე) წრეები — უმცროსკლასელთა ნამდვილი საუფლო... მათი სეზონური დათვალიერებების შედეგების წაკითხვა ერთ რამედ ღირს. ასეთია ბოტანიკოსთა წრეც, რომელსაც მასწავლებელი ქეთევან რუსია ხელმძღვანელობს. და ბოლოს — ნორჩ ფიზიოლოგთა წრეც. რომელიც უშუალოდ, პრაქტიკული მუშაობით, ცდების ჩატარებით სწავლობს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს (წრის ხელმძღვანელი მარინე დუმბაძე). ამ საქმეში ყმაწვილებს ნორჩ კინომექანიკოსთა წრის (ხელმძღვანელი — სადგურის დირექტორი ამირან მიქელაძე) წევრთა ძალებით ნაჩვენები სამეცნიერო-პოპულარული ფილმებიც ეხმარება.

ნატურალისტი რისი ნატურალისტია, ორ დღეში ერთხელ მაინც რომ არ უწევდეს ბუნებაში გასვლა. მაგრამ გულისგულში მაინც ყველას ბუნების ნორჩი დამცველებისა ეხარბება (წრის ხელმძღვანელი ნინო ანდღულაძე). ისინი, გამოზაფხულდება თუ არა, თითქმის ყოველდღე გადიან ახლომახლო ტყეებში, აქ გავრცელებულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებს სწავლობენ. კინტრიშის ნაკრძალში გამორჩეულად გვიყვარს სიარულიო, მომეტებულად უვლიან გადაშენების პირას მისულ მცენარეთა ჯიშებს ან... ტყეში ისე როგორ გავლენ, თავიანთი ნახელავი ხელოვნური ბუდეები რომ არ წაიყოლიონ. ხეებზე ჰკიდებენ და მერე საოცრად უხარიათ ხოლმე, როცა მათში ჩაბუდებულ ციცქნა ჩიტებს დაინახავენ. თოვლი ჩამოყრის თუ არა, დღეს არ დაიღამებენ, ტყეში არ შევიდნენ და ხეთა მდგომარეობა არ დაათვალიერონ, შარშანაც. დიდი ზამთარი რომ დაიჭირა, ტყეში ყოველდღე გადიოდნენ, ხეთა ტოტებს ფერთხავდნენ, მოძალებულმა თოვლმა არ დატეხოსო...

ასეთი საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ. თანაც, ისიც არ დავიწყოთ, რომ აქაურ ნორჩ ფოტომოყვარულთა წყალობით, ხალისიანი ფოტოებიც არ აკლიათ. ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა სადგურში ყველას გამორჩეულად უყვარს ძია საშა — ამ წრის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი, ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ ფოტოკორესპონდენტი.



უხვმოსავლიანი წელი დაუდგათ ნორჩ მებოსტნეებს ნარგიზა ჯაყელს, ნათია ქურიძესა და გელა გარბანელიძეს.

იგი პიონერებს ფოტოხელოვნების საიდუმლოებას ასწავლის.

აი, ის ყველაფერი, რითაც ცხოვრობს და სუნთქავს 700 ბავშვისაგან შემდგარი ეს ოჯახი. ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა სადგურს დირექტორიც ძალზე ყურადღებიანი ჰყავს. თავისი ცხოვრების ოცი წელი აკავშირებს ამ საქმესთან ბატონ ამირანს. იგი ყოველდღიურად ზრუნავს იმაზეც, რომ მის ბავშვებს ბუნება და მისი მოვლა გამორჩეულად უყვარდეთ და იმაზეც, რომ სადგურის სპეციალურ საკოლექციო განყოფილებაში ბავშვების ხელით გამოყვანილი და გამრავლებული ნერგები არ მოაკლდეს რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეებს, რომ ახლა მათ ისწავლონ მცენარის მოვლა და სიყვარული, ბუნებასთან მეგობრობა.

ცოტა ხნის წინათ ორი ჰექტარი მიწა გამოგვიყვესო... ახლა დგანან და ამუშავებენ ახალშემომატებულ ტერიტორიას, ლამაზ, პაწია ნაკვეთებად ჰყოფენ, რომ ყველა წრის ბუნების მოყვარულებმა მათ სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად იგრძნონ თავი, უფრო გულიანად მოეკიდონ საქმეს, რომელსაც, პედაგოგთა გარდა, გარეშე მზრუნველი თვალიც დასტრიალებს. ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა სადგურს, საბედნიეროდ, ბევრი ასეთი მზრუნველი ჰყავს: სამკურნალო მცენარეთა საკავშირო ინსტიტუტის ქობულეთის ზონალური საცდელი სადგურის მეცნიერი თანამშრომლები რუსუდან გოგიტიძე და თემურ ხალვაში, ჩაისა და სუბტროპიკების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მუშაკი ვახტანგ კუტუბიძე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები მარინე თათარიშვილი და, განსაკუთრებით, ვაჟა ბებიაძე, რომელიც, როგორც ბაღის კავკასიის მცენარეთა განყოფილების გამგე, ბუნების ნორჩ მოყვარულებს სისტემატურად ამარაგებს მცენარეთა ნერგებით.

ასე თანდათან, ერთმანეთის მხარში ამოდგომით, და, რაც მთავარია, ბავშვებისა და ბუნების დიდი სიყვარულით კეთდება აქ საშვილიშვილო საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსიხარულო ბავშვობა

გერმანელი ხალხის საამაყო შვილმა, გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადმა ერნსტ ტელმანმა მთელი თავისი სიცოცხლე კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლას შესწირა. ფაშისტურმა ტერორმა ვერ გატეხა მისი ძლიერი ნებისყოფა. საკონცენტრაციო ბანაკში ნაწამები დიდი რევოლუციონერი ვერაგულად მოკლეს 1944 წელს.

დღეს მსოფლიო პროგრესული კაცობრიობა გულწრფელი პატივისცემით აღნიშნავს ქედუხრელი რევოლუციონერის ერნსტ ტელმანის დაბადების 100 წლისთავს.

გთავაზობთ ნაწყვეტს მისი ქალიშვილის — ირმა ტელმანის წიგნიდან „მოგონებანი მამაზე“.

ირმა ტელმანი

მხატვარი
თემურ ფხიკაძე

18216

— მამაშენს მძიმე ბავშვობა ჰქონდა, ირმა,. — მიყვებოდა პაპა იოჰან ტელმანი, — ოთხი წლისა იყო, როცა, დავიხმარ-მეთქი, პირველად გავიყოლიე ბაზარში. დილის ოთხ საათზე ვაღვიძებდი, რამდენიმე წუთში იცვამდა და ხალისით მეხმარებოდა ცხენის შეკაზმვაში, არასოდეს უტირია, მუდამ მხიარული სახით მეტიტინებოდა რაღაცას, როცა საზიდარზე ბოსტნეულს ვტვირთავდი, ის ცხენს დარაჯობდა ხოლმე. პატარა ერნსტი ყველას უყვარდა, მეუბნებოდნენ — „იოჰან, ყველაზე ძვირფასი ქონება შენთვის შენი ბიჭიაო...“

იზრდებოდა ერნსტი და სამუშაოც ემატებოდა. განსაკუთრებით ბევრი საქმე გვქონდა საშობაოდ, ნაძვისხეებით ვვაჭრობდი. მახსოვს, ერთხელ ხეების მოსაჭრელად ტყეში წავედი და ერნსტიც გავიყოლიე, მაშინ თერთმეტი წლისა იყო. საშინლად ყინავდა. ტყის მშვენიერებით მოხიბლულ ერნსტს სიცივე თითქოს დაავიწყდა. თოვლით დაფარული ნაძვები ზღაპარში დახატულ ნაძვებზე უფრო ლამაზია და უფრო მიმზიდველიც, ვიდრე შინ მორთული ნაძვისხეები, ბუნება ადამიანებზე უფრო ოსტატურად რთავს ნაძვებსო, — მაშინ მითხრა. მე კი ნებასაც ვერ ვაძლევდი, დიდხანს დამტკბარიყო ამ სურათით, სამუშაოს დაწყება უფრო მეჩქარებოდა: ხეები უნდა მოგვეჭრა, ერთმანეთზე დაგვეწყო. ერნსტს საყელოში თოვლი უცვიოდა, დასველდა, თან გაოფლიანდა. მე ცეცხლი დავანთე, სითბოში უფრო გაიხარა ბავშვმა, კოცონს ხმელი ფიჩხი დაამატა, თვალებგაბრწყინებული უყურებდა მოლაპლაპე ცეცხლის ენებს. სწორედ ამ დღეს იყო, შემოგვაღამდა. ღამის გასათევად ტყესთან მდებარე პატარა სახლს მივაშურეთ. უცებ ცული მოვიკითხე— ერნსტს კოცონთან დარჩენოდა.

— რაზე ფიქრობდი, სად გქონდა გონება, ახლავე წადი ტყეში და ცული მოიტანე-მეთქი, — გავუბრაზდი. ერნსტიც იმ წუთშივე წამოხტა და ვიდრე გავძახებდი — მოიცა, არ წახვიდე-მეთქი, უკვე შორს იყო. დავინახე, თოვლში ჩვენს ნაკვალევს მიჰყვებოდა. მთვარე ანათებდა, სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ბუნების წარმტაცი ფერები მეტყველებდა. ერნსტს ცული კოცონთან ახლოს უპოვნია. ამასობაში დროც გავიდა — მთვარე ღრუბლებში შეიმალა, ჩამობნელდა, ხეები კი გოლიათებივით აღმართულიყვნენ. ერნსტს მიმოუხედავს, ცოტა შეფიქრიანებულა, მაგრამ გული გაუმაგრებია — იმედია, მხეცები არაფერს მერჩიან, ჭინკები კი არ არსებობენო... მხნედ გაუდია ცული მხარზე და გაბედულად გამოუწევია სახლისკენ. შვილო, ხომ არ შეგეშინდა-მეთქი, მოსვლისთანავე ვკითხე. რისი უნდა შემშინებოდა, მამა, მე მხდალი არა ვარო, მიპასუხა ღიმილით.

ერნსტს ძალიან უყვარდა დედა, თუმცა ზოგჯერ შეკამათებაც იცოდა მასთან. მახსოვს, ერთხელ ეკლესიაში არ წაჰყვა, უთხრა — აბა, რა სამართალი აქვს ღმერთს. როცა ამ





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

შუა ზამთარში ჩვენს სკოლაში ამდენი ბავშვი უპალტოოდ დადის, ბევრი მათგანი კი ან სულ მშიერია, ან ხმელა პურზეა, წარმოიდგინე — შიმშილობს და იყინება. ამაზე მტკივა გული, დედიკო! მდიდრების შვილები კი მაძღრები არიან. რატომ უნდა იყოს ასე, არ მესმისო...

მეცინება, როცა მახსენდება, როგორ იბრძოდა ერნსტი ყოველ დილით ბუტერბროდებისთვის. დას მუჯლუგუნით უმასპინძლდებოდა, თუ იგი უარს ეტყოდა, ერთი ნაჭრით მეტი პური და ძეხვი მიეცა. ეს სცენა ყოველდღე მეორდებოდა, ერთხელაც ვკითხე — რას უშვები ამდენ პურს-მეთქი. მიპასუხა: იცი, მამა, დედამ არც იცის, თუ ეს ბუტერბროდები ჩემი კლასელებისთვის მიმაქვს, ისინი ხომ მშივრები არიანო.

ერნსტს სათამაშოდ კი არა, სამეცადინოდაც არ ჰყოფნიდა დრო. თავისი ჯიბის ფულით ხომ მხოლოდ წიგნებს ყიდულობდა. ღამღამობით კითხულობდა — მთელ ღამეს მეცადინეობდა, ჩვენ კი ზოგჯერ შუქს გამოვურთავდით ხოლმე, არც გაგვემტყუნებოდა. ჩვენ ჩვენი სიმართლე გვქონდა, ჩვენთვის კითხვაზე მთავარი სამუშაო იყო და დღისით მუშაობა რომ შეგვძლებოდა, ღამით კარგად უნდა გამოგვეძინა. ერნსტი კი... შეუპოვრად განაგრძობდა მუშაობასაც და მეცადინეობასაც, თანაც სკოლაში საუკეთესო მოსწავლე იყო. მეც ვამაყობდი, როცა შვილს მიქებდნენ.

აი, ირმა, ის სიძნელეები, რაც მამაშენს ბავშვობაში შეხვდა... მათ იგი აღზარდეს, ჩამოაყალიბეს ისეთ მტკიცე პიროვნებად, როგორიც დღეს არის. ერნსტს, თვითონ უსიხარულო ბავშვობაგამოვლილს, მუდამ სურდა, მუშათა შვილებს ლაღი ბავშვობა ჰქონოდათ, სკოლებში მიეღოთ განათლება, დაუფლებოდნენ პროფესიას. ამ ლამაზი ოცნების განხორციელებისთვის იბრძოდა იგი ყველგან და ყოველთვის.

გერმანულიდან თარგმნა
**ლამარა ძინძიბაძემ**



ეს გესო ოდოშაშვილია გერდოს როლში.

„...წიგნში წინდის ჩხირი ჩადო, დახურა, იქვე, სარკმლის რაფაზე დატოვა და პურის შკაფისკენ წამოვიდა. შკაფზე სარკე იდგა. ოთახში იმდენად დაბნელებულიყო, სარკეში რიგიანად არაფერი ჩანდა. აიღო, ფანჯარასთან მივიდა და იქ ჩაიხედა. თან სარკეში იყურებოდა, თან — გარეთ... ხან იკოხებოდა და ტუჩებს ბუსხავდა, ხან თვალებს აბრწყინებდა, სარკე შორსაც გასწია და ისეც ჩაიხედა. წინ წამოშლილი და წარბებთან ისევ ზემოთ აღუნული თმა გაისწორა, ხელისგულით დაიტკეპნა, სარკე შკაფზევე დადგა და ღუმელთან ჩაცუცქდა, მუგუზლები შეატოკა, შეშა შეუმატა"...

ვერ იცანით? ეს ხომ დედუნაა, რევაზ ინანიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის გმირი. სწორედ მისი როლის შემსრულებლად მიიწვია ახალგაზრდა რეჟისორმა დავით ჯანელიძემ მარეხ ლიქოკელი, სოფელ თეთრი წყლების სკოლის მეექვსეკლასელი. მიიწვიაო? ნურც გაიღიმებთ და ნურც იუცხოვებთ. დ.



„დედუნაში" კიდევ ერთხელ გამოვლინდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის თამარ სხირტლაძის მაღალი ოსტატობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცით, რა გოგოა დედუნა?

მანანა გელაშვილი



აი, ეს გახლავთ დედუნას როლის შემსრულებელი მარეხ ლიქოკელი

ჯანელიძეს მარეხი ნანახი ჰყავდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების მიხედვით რეჟისორ ნოდარ მანაგაძის მიერ გადაღებულ ფილმში „გაზაფხული გადის“ და როცა „დედუნას“ გადაღება განიზრახა, გადაწყვიტა, არავინ აღარც კი ეძებნა მთავარი როლისათვის, იმდენად ეიმედებოდა მისი. და მარეხმაც არ გაუცუდა იმედი. ძალდაუტანებლად, უშუალოდ და, როგორც თავად რეჟისორი ამბობს, „პროფესიონალურად“ შეასრულა მარეხ ლიქოკელმა სიკეთით აღსავსე, ნათელი სულის, ადრე დასერიოზულებული დედით ობოლი გოგონას როლი. მისი ნამუშევრის ავკარგიანობის შესაფასებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ რამდენიმე თვის წინ ალმა-ათაში გამართულ საკავშირო კინოფესტივალზე, სადაც ფილმმა „დედუნამ“, როგორც საუკეთესო საბავშვო ფილმმა მთავარი ჯილდო დაიმსახურა, ბავშვებისაგან შემდგარმა ყველაზე პირუთვნელმა ჟიურიმ სწორედ მარეხ ლიქოკელს მიაკუთვნა თავისი პრიზი — „გოგონას როლის საუკეთესო შემსრულებელს“. ისე რომ, „დედუნას“ და დედუნას ერთნაირად დიდი წარმატება ხვდათ წილად.

საერთოდ, რამდენიმე ფილმში გადაღებულ, მარეხისოდენა გოგო-ბიჭების უმეტესობას გუნებაში მსახიობობა აქვს ხოლმე, მარეხი კი, როცა ეკითხებიან, ალბათ მსახიობობა გინდაო, ჯერ არაფერი ვიციო, — პასუხობს, და არც სხვამ არავინ იცის, რომელი გზა-ბილიკით გავა იგი ცხოვრებაში, რა საქმიანობას აირჩევს სამომავლოდ. ერთი კია — თავისი სოფელ-კუთხის მოყვარული, გონიერი, ფიქრიანი, შრომისმოყვარე გოგონა უეჭველად კარგი, თავისი ხალხისთვის საჭირო ადამიანი დადგება, მას ამაში მისი დედუნაც დაეხმარება.

ახლა ის ბიჭიც გავიხსენოთ, დედუნას სითბო და სიკეთე რომ მისწვდა: „პაპას და დიდედას გაუზრდიათ, ინტერნატის მეოთხე კლასში ყოფილა, ძალიან ცუდი სიზმრები უნახავს, ნამდვილად სახლის სახურავი ჩაენგრათო, რომ არ ავიდე, არ ავხედო, არ შეიძლებაო“, და წამოვიდა ბერდო პაპა-დიდედას სანახავად, გზად დედუნას მამა შემოეყარა და იმან წამოიყვანა შინ გასათბობად და ღამის გასათევად.



დედუნას მამის დასამახსოვრებელი სახე შექმნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლეო ფილფანმა.

მარეხისაგან განსხვავებით, ბერდოს როლის შემსრულებელი დიდხანს ეძებეს და ბოლოს თელავში აღმოაჩინეს. მაშინ, ფილმის გადაღების დროს, ბესო ოდოშაშვილიც მარეხივით მეექვსე კლასში იყო (წლეულს ორივენი მერვეში გადავიდნენ), ოღონდ მას ფილმში მონაწილეობის არც ის მცირე გამოცდილება ჰქონდა, დედუნას როლის შემსრულებელს უფრო მეტ სითამამესა.. და დაჯერებულობას რომ მატებდა გადაღებებზე. ფილმს რომ ნახავთ, თავად დარწმუნდებით, რომ ბესომაც კარგად გაართვა თავი დაკისრებულ როლს.

დავით ჯანელიძის პირველ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმში „დედუნა“ მონაწილეობენ აგრეთვე: რესპუბლიკის სახალხო არტისტები თამარ სხირტლაძე და ლეო ფილფანი, მსახიობები ირინე გუდაძე, ზაზა კოლელიშვილი და სხვ. მათ გარდა „დედუნას“ გადამღები კოლექტივის წევრები არიან ლერი მაჩაიძე (დამდგმელი ოპერატორი), მალხაზ დეკანოიძე, შოთა გოგოლაშვილი (დამდგმელი მხატვრები) და სხვ.



# წყაროს ზღაპარი

მხატვარი ედ. ამბოკაძე

კლავდია დევდარიანი

იყო და არა იყო რა, ასე იწყება ყველა ზღაპარი. მეც ასე დავიწყებ:— მე პატარა მთის წყარო ვარ, აი, ისეთი, ველზე წანწკარით რომ ჩამოდის, დიდ ლოდებს გარს შემოუვლის, პატარა ქვებს თავზე გადაასტება, დაეშვება და მისტის ხავსიან ლოდებზე.

ტყეს, რომლის ბინადარიც მე გახლავარ, შუაზე ვჭრი. ახლა რაღა ტყეა, — ბუჩქებს შორის საცოდავად მივწანწკარებ და გული მისკდება, მეშინია, მცხუნვარე მზემ არ დამაშროს.

ეჰ, შორს წავედი, მე კი მინდოდა თავიდან მეამბნა ტყის ზღაპარი.

მე ტყესთან ერთად დავიბადე, ტყის ავანჩავანი ზეპირად ვიცი. ყოველი ჩემი სიხარული ტყის სიხარულია, ჩემი მწუხარება ტყის მწუხარებაა, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ დაუსრულებლად შემიძლია ტყეზე ლაპარაკი.

იმ წელიწადს ნაადრევი გაზაფხული იყო. ტყემაც ადრიანად გაიღვიძა.

პატარა ჩიტი მომიახლოვდა, თავის წვრილ ფეხებზე იდგა და ოდნავ ქანაობდა. ლოდს ამოეფარა, იქ, სადაც დილის მზე ყველაზე მეტად ანათებს, და ბანაობა დაიწყო. პატარა ფრთებს აფართხუნებს. ჩემს ცივ წყალში თავს ყოფს, წყალს მხრებზე ისხამს და აღტაცებული ჭყლოპინებს. ვუყურებ ჩიტს და მიხარია, ის კი დგას თავის წვრილ ფეხებზე და ოდნავ ქანაობს.

— დილა მშვიდობისა, მეგობარო! — მივესალმე ჩიტუნიას.

— გმადლობ, კეთილო, მეგონა ყურადღებას არ მაქცევდი. აქ მშვენივრად ანათებს მზე. შესანიშნავი საბანაო ადგილია. სულმა წამძლია, უნებართვოდ ვბანაობ.

— გაამოს, გაამოს!

— ბუდისათვის ადგილს ვეძებ.

— აი, ეგ კუნელი შესანიშნავია. არავინ შეგაწუხებს. ეს ვეებერთელა მუხა ცივი ქარისაგან და სეტყვისაგან დაგიფარავს. მეც ზაფხულის ცხელ დღეებში გულს გაგიგრილებ.

— შარშან ბუდე კარგ ადგილზე მქონდა, მაგრამ მახლობლად კოდალა დაბინავდა, — დანანებით მითხრა ჩიტუნიამ.

— არა, გეთაყვა, როგორ ვეკადრება, კოდალას გვერდით შენისთანა სათნო ფრინველი როგორ გაძლებს!

— ამიტომ ვეძებ ახალ ადგილს.

— ამაზე მყუდრო ადგილს ვერ იშოვნი, ვიცი შენი ხასიათი. აურზაურის თავი არა გაქვს.

იდგა პატარა ჩიტი თავის წვრილ ფეხებზე და ოდნავ ქანაობდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — მივესალმე მერცხლების გუნდს, ისინი ჟივილ-ხივილით ჩამოცვივდნენ გუბურაში.

— გაგიმარჯოს, კეთილო! — სალამი დამიბრუნეს მერცხლებმა, — ნამგზავრი ვართ, შორი გზა გამოვიარეთ.

— გაიხარეთ, იცოცხლეთ! — თქვენზე უკეთეს მეზობელს ბულბულისათვის ვერ ვიშოვნი, საუკეთესო ადგილს შეგირჩევთ ბუდისათვის.

— გმადლობთ, კეთილო, ჩვენი ჯიში ასეთ უდაბურ ადგილს ვერ ეგუება. ჩვენ ადამიანთან ახლოს უნდა დავიდოთ ბინა, — შემომჭიკჭიკეს მერცხლებმა და ლამაზი თავები მზის სხივებს მიუშვირეს, — შენს სიკეთეს არ დავივიწყებთ, ყოველდღე გინახულებთ.

გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი, დავტრიალდი და მეზობლების შერჩევა დავიწყე. მოგეხსენებათ, მეზობელს დიდი მნიშვნელობა აქვს, არ მიყვარს შფოთიანი ხალხი.

ზღარბს წავაწყდი, ნაყარ ფოთლებში დაძვრება. მართალია, უცნაური ცხოველია, მოუსვენარი, მაგრამ ძალზე კეთილია, უწყინარი, პატიოსანი:

— ზღარბუნიავ, სად მიტანტალებ?

—ფუღუროს ვეძებ, შარშანდელი ბინა ნიაღვარმა დამინგრია.

—მოდი აქ, კარგ ადგილს გასწავლი. — ზღარბი შედგა და მომაჩერდა.

— შენი მეშინია, მოდიდდები, აბობოქრდები, სადგომს დამინგრევ, — მითხრა მან და თავისი წვრილი, კეთილი თვალებით შემომხედა.

— არა, გეთაყვა, მე ერთი უწყინარი მთის წყარო ვარ, ჩემს ცხოვრებაში სიბოროტე არ ჩამიდენია.

— მაშ, არ დამინგრევ?

— აგერ, მუხის ძირში ფუღუროა, ნახე, გარშემო რამდენი ნაყარი ფოთლებია, შეზიდე და იცხოვრე კეთილად.

ორ ვეებერთელა ქვას შორის მორევი მქონდა გაკეთებული, ეს მორევი იყო ჩემი სიამაყე. აქ ტყის დიდი ცხოველებიც მოდიოდნენ საბანაოდ. ვხედავ, მორევში თხუნელა მოცურავს. არცთუ დიდად მესიამოვნა. მეტისმეტად ფიცხი და ანჩხლია. ვერავის შეიგუებს, ასეთი მეზობელი აბა რა სახარბიელოა, მაგრამ მაინც არ ავუხირდი.

— გამარჯობა! — ყურადღება არ მომაქცია. ცურვა განაგრძო. კარგი ცურვა იცის, დე, იჭყუმპალაოს. — მეზობელო! — არ ვეშვები.

— მეგობარს ვეძებ, — შემომბუზღუნა.

ბებერი ციყვი კი თავის უქნარა შვილებზე შემომჩივის:

— გენაცვალე, მთელი დღე თამაში იქნება? აყვნენ იმ უკუდო ყურცქვიტებს და მთელი დღე უსაქმოდ დატანტალებენ. ასე უზრუნველად მოხეტიალე, დავბერდი ქალი და, ჯერ არავინ მინახავს. წელებზე ფეხს ვიდგამ, სულ იმის ცდაში ვარ, უმამობა არ შევამჩნევინო. ზამთარი ისე მოგვეპარება, ვერ გავიგებთ. ესენი კი მთელი დღე უსაქმოდ დახეტიალობენ. ნეტა რა უყო ამ წრუწუნამ თავის შვილებს? ვანახათ ერთი, როგორი გამრჯეები არიან! ეჰ-

იდებიან და ეზიდებიან ზამთრის საზრდოს, ჰგვანდნენ მაინც რამეს, ცარიელა კუდები არიან.

ტყე ცხოველებით ივსება.

ტყის ბინადარნი ერთმანეთის კმაყოფილნი არიან — ციყვი, მინდვრის თაგვი, ლოკოკინა, ფუტკარი, კოდალა, ბულბული, გუგული, დიდთავა ბუ, ღამურა, კურდღელი, ციცინათელა, სინდიოფალა და სხვა. აბეზარი თხუნელაც დაწყნარდა, განმარტოვდა და თავისი სახლის დერეფანში არხეინად დასეირნობს. ხანგამოშვებით ზღარბუნია მაჯავრებს.

— მთელი ღამე ნუ დაფუსფუსებ, მეზობლებს ძილს ნუ უფრთხობ, ეზოგარემო სუფთად შეინახე, — ვუჯავრდები ზღარბს. ზღარბის ოჯახი კეთილი და პატიოსანია, ამიტომ ყველა უთმენს. იმ წელიწადს მათ ოჯახში რვა შვილი გაჩნდა. დედმამა თავს ევლება პატარებს. მე შენ გეტყვი და შრომა ეზარებათ, დილით ადრიანად წაასხამენ შვილებს ტყეში და საღამოზე დატვირთულნი ბრუნდებიან.

დილით ადრე საშინელმა ხმაურმა გამაღვიძა. ტყე უჩვეულოდ შფოთავს. ჯერ ვერ გავიგე, რა ხდებოდა. მერე ვხედავ, ჩვენი ვეებერთელა მუხა უცნაურად ირყევა და ისე ხმამაღლა მოთქვამს, ყურთასმენა აღარ არის.

— რა დაგემართა, მეზობელო?

— ხედავ, რა დღეში ვარ?! — შემომჩივლა მან და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსცვივდა.

— უშველეთ, დიდ მუხას უშველეთ!—ავყვირდი მე, მაგრამ ხმა არავინ გამცა. ტყის ბინადარნი შეშინებულები ბუდეებში შემძვრალან და იქიდან უმზერენ მუხის გასაჭირს.

უეცრად ვეებერთელა მუხამ საშინელი ხმით დაიკვნესა, ტოტებმა ლაწალუწი დაიწყეს და მუხა ჩემს ტანზე გარდიგარდმო გადმოიჩეხა. სული შემეხუთა. ვკვნესი, ვტირი, მუხის ტოტებს ვეხვევი, შევთხოვ:



— რა მოგივიდა, მეზობელო, რით გიშველო? — მაგრამ ძირს გართხმული მუხა ხმას არ იღებს.

ტყე განადგურდა. ბუნებამაც შეიგრძნო ჩვენი წუხილი და იმ ღამეს ისეთი თქეში მოვიდა, რომ ჩემს მეზობლებს თვალი არ მოუხუჭავთ. ჩემს თავზე უბედურება დატრიალდა. ნიაღვარმა ყოველი მხრით შემომიტია, გავიზარდე, გავიბერე და ისე ავღრიალდი, რომ ჩემს მეზობლებს სულ კუდით ქვა ვასროლინე. ვხედავ, როგორ მოაბოტებს წყალში ზღარბი და თავის შვილებს მოათრევს. აბუზღუნებული თხუნელა ჩემს ტალღებს ხან აღმა აჰყვება, ხან დაღმა. პირით თავისი პატარები გადმოჰყავს, მათ გადარჩენას ლამობს.

რა ცუდი დღე გამითენდა, რა ბოროტი გავხდი. აღარავინ აღარ დავინდე, არც ბულბული, არც ციყვი, ვაი-ვაგლახით რომ გამოზარდა შვილები. იმ გრძელკუდა წრუწუნების ოჯახს ხომ სულ მუსრი გავავლე.

მეორე დღეს, როცა მზემ გამოანათა, მე ისე შემრცხვა მზის დანახვა, იმდენი ცრემლი ვღვარე, მზეს შევებრალე, სხივები გამომიგზავნა და მანუგეშა:

— ნუ სტირი, კარგო!

მზის სხივებს ჩავეხუტე და ვუამბე იმ ბოროტებაზე, რაც ქვეყნად ჩავიდინე.

— შენი ბრალი არ არის, კარგო! — მანუგეშა. — ადამიანები ტყეს არ ინდობენ, ისინი არიან შენი ბოროტების მიზეზნი.

მას შემდეგ ნაჯახითა და ცულით შეიარაღებული ადამიანის დანახვას ვერ ვიტან, ვიცი, ისინი ტყეს გაანადგურებენ და ათასნაირ ბოროტებას ჩამადენინებენ.

იმ დღის შემდეგ ყველას შევთხოვ, ყველას ვევედრები: — ხეს ნუ მოსჭრით, ტყეს ნუ გაანადგურებთ. გაუფრთხილდით ბუნების საგანძურს. მაგრამ ჩემს თხოვნას ყურადცოტა იღებს. ახლა თქვენ გთხოვთ, ჩემო პატარა მეგობრებო, გაუფრთხილდით ტყეს, გაუფრთხილდით ხეს. ჩემი ბოროტება ქვეყნად არავის უთქვამს, შემიბრალეთ პატარა მთის წყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმები



ვლ. ასლამაზიშვილი
თ. ცაგარელის ფოტო

„ყარაღაჯის სამხრით, სადაც დაიწყების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ კლდესა ზედა შენი არს ციხე მაგარი და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოხრდა“, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

წელიწადის ყოველ დროს ლამაზი სანახავია დიდ ჭირვარამგამოვლილი ხორნაბუჯის ციხე. ხან მოკრიალებული ცის ფონზე გამოხატული, ხან კავკასიონის გადაღმიდან ამომავალი მზის სხივებით შევარდისფერებული, ხანაც ღრუბლებში ამაღლებული, ნისლშემოხვეული და ჩაფიქრებული.

ხორნაბუჯის ქვემოთ, აღმოსავლეთ მხარეს, ჩამოდის „ცივის მთის“ ტყიანი ფერდობები, რომლებიც თანდათან ვაკდება და ალაზნის ველს უერთდება.

ის ადგილები დაუსახლებელია, სამაგიეროდ, ამ ბარაქიან, ღალიან მიწაზე სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ვენახებია, ოქროსფრად ღაღანებენ პურის მწიფე ყანები, ყანებს შორის მწვანე ხალიჩებივით ჩაფენილან სიმინდისა და მზესუმზირის, იონჯისა და ესპარცეტის ნათესები. ეს — დაბლობებში, ხოლო მთის უტყეო ფერდობებზე, სადაც ხვნათესვა შეუძლებელია, გაშენებულია მეცხოველეობის ფერმები და გამოყენებულია პირუტყვის საძოვრებად.

აი, ამ ადგილას აშენდება სოფელი ხორნაბუჯი: ძმები ხატიაშვილები მშენებლებს ეხმარებიან.

სწორედ იმ ადგილებში დაუდვია ბინა ტიბაანის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანების რამდენიმე ბრიგადას. აქ მომუშავე მწყემსები ზამთარშიც ადგილზე პატრონობენ ცხვარს და ზაფხულშიც. მოკლედ, არ მომთაბარეობენ. აქვთ მექანიზებული ბინები და ცხვარს, ხშირ შემთხვევაში, შემზადებული საკვებით კვებავენ: მარტო გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა ბალახი გულუხვობს, გალალავენ ხოლმე ახლომახლო საძოვრებზე.

ცხვარს, ნამეტნავად მაშინ, როცა დოლია გაჩაღებული, ბევრი საჭმელი სჭირდება და საკვებმომპოვებლებიც გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ჰქმნიან საკვების მარაგს — თიბავენ ბალახს, წნეხავენ ნამჯას და ავტომანქანებით ეზიდებიან ცხვრის ბინებთან. თუ იმ საკვებმომპოვებლებს ესტუმრებით, მათ შორის უთუოდ შენიშნავთ ორ ყმაწვილს — ძმებს გიორგი და არსენ ხატიაშვი-



ამ ვეება კომბაინს ხან გიორგი მართავს მტკიცე მარჯვენით, ხანაც — არსენა.

ლებს, თუმცა რის ორი, მათ კიდევ ორი ძმა ჰყავთ — დავითი და ერეკლე. სულ ოთხნი არიან. სწორედ მათ შესახებ მინდა გიამბოთ.

ტიბაანის საშუალო სკოლაში სწავლობენ ძმები: გიორგი, არსენ, დავითი და ერეკლე. უფროსი მეცხრე კლასშია, მომდევნო — მერვეში, დავითი მეხუთეკლასელია, ხოლო ყველაზე უმცროსი ერეკლე (დიახ, ერეკლე: თუ ირაკლი დაუძახეთ, ჯავრობს) მესამე კლასში წლეულს გადავიდა.

ძმები კარგად სწავლობენ, ბეჯითები არიან.

სწავლა ხომ უყვართ, მაგრამ არანაკლებ უყვართ შრომა. გიორგიმ და არსენამ სკოლაში მექანიზატორის პროფესია შეისწავლეს და რამდენიმე წელია, ზაფხულის არდადეგების დროს მეცხვარეობის გაერთიანებაში მუშაობენ, ბალახის სათიბ კომბაინებს მართავენ.

არც წლეულს დაივიწყეს საყვარელი საქმე. დამთავრდა სასწავლო წელი და გიორგიმ მშობლებს უთხრა, გაერთიანებაში სამუშაოდ მივდივარო; არსენამაც იგივე გაიმეორა. მე კი ცხვარში წავალო, — თქვა დავითმა — თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო. — თავი გამოიდო ერეკლემ. — რეზო ძიას ბრიგადამდე მიმიყვანეთ, მერე მე ვიციო.

რეზო ძია მეცხვარეობის მეთოთხმეტე ბრიგადის ბრიგადირია, ერეკლეს რომ ჰკითხოთ, იმაზე მაგარი მეცხვარე მეორე არ იქნება გაერთიანებაში. შარშან ერეკლე სწორედ მასთან იყო გამწესებული.

უარს როგორ ეტყოდნენ ძმები ერეკლეს. ყველამ თავისი ბარგიბარხანა გაამზადა. მამამ, ჯემალმა, შვილები „ნივაში" ჩასხა და დილაადრიანად ხორნაბუჯისკენ გაუტია. დავითი და ერეკლე რეზოს ბრიგადაში ჩამოსხა. გიორგი და არსენა სატრაქტორო პარკში მიიყვანა, რომ თავ-თავიანთი კომბაინები ჩაებარებინათ.

მწყემსებმა დავითი და ერეკლე რომ დაინახეს, ძალიან გაუხარდათ. ჩვენ რომ ცხვარს საძოვარზე გავრეკავთ, ესენი ბინაში დარჩებიან, ჯანდაგ ცხვარს მიხედავენ. აქაურობას დაგვიან-დაასუფთავებენ, წყაროს ცივციველა წყალს დაგვახვედრებენო. აქ რა ჩამომათვლევინებს, რაც მწყემსებს გასაკეთებელი საქმე აქვთ.

იმ დღეს ერთი მწყემსი ბრიგადაში არ გამოცხადდა, ავად გამხდარიყო, შინ დარჩენილიყო. იმის მაგივრობა დავითმა იკისრა და საძოვარზე მიმავალ ცხვარს გაჰყვა. ბინის ყარაულობა ერეკლეს მიანდვეს. სანამ დავბრუნდებით, შენ იცი და შენმა კაცობამაო.

დარჩა მარტო ერეკლე. შარშანაც ხომ ნამყოფი იყო ამ ბრიგადაში და თავი შინაურად მიაჩნდა. იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ჯერ ჯანდაგ ცხვარს მიხედა. სულ ექვსიოდე იყო. ფიცრის შემონაღობში გამოემწყვდიათ მწყემსებს, ხმელ ბალახს ღეჭავდნენ.

„არც ამათ აწყენთ მწვანე ბალახი". — გაიფიქრა ერეკლემ, გაიქცა ბინის უკან, მინდვრიანში, დაგლიჯა მწვანე ხასხასა ბალახი და დაილიავებული მოუტანა. ჭამდნენ ცხვრები ხარბად და თან მადლიერი თვალით შესცქეროდნენ პატარა მწყემსს.

„ბარემ წყალსაც დავალევინებ, მერე მარილს მოვალოკებ ცხვარს",
— გეგმავდა თავის გულში ერეკლე, რომ — პიპიიი, — მოესმა ავტომანქანის ხმა. ბიჭმა უკან მიიხედა. ფერდობზე შავი „ვოლგა" მოღმუოდა. მოვიდა, ერეკლეს გვერდით გაჩერდა. შიგ სამი კაცი იჯდა. ერთი მანქანიდან გადმოვიდა, მიიხედ-მოიხედა და იკითხა:

— აქ არავინ არის?

ეწყინა ერეკლეს

— როგორ თუ არავინ არის, მაშ მე ვინა ვარ?!

— ვინა ხარ? — ეკითხება ახლა ერეკლეს ის კაცი.

— მწყემსი!

— უყურე ამას, როგორ ვერ მივხვდით! — გაუკვირდა სტუმარს. — სხვები სადღა არიან?

— ცხვარი გარეკეს საძოვარზე. ბინა მე ჩამაბარეს საპატრონოდ.

— მართლა? — უფრო გაუკვირდათ სტუმრებს. — იქნებ ისიც გვითხრა, ბრიგადაში რა ამბავია, როგორ მიდის საქმე?

—როგორ და წლეულს 100 ცხვარზე 82-ის ნაცვლად 97 ბატკანი მიიღესო, — უთხრა ერეკლემ.



ერეკლე, არსენა და დათო ხატიაშვილები იალაღზე. შორს მოჩანს ხორნაბუჯის მთა



მოჭიდავეები სულის მოსათქმელად რომ დასხდებიან, ჯემალ ხატიაშვილი მიუჯდება და თანატოლივით ესაუბრება ბიჭებს.

სტუმრები ძალიან კმაყოფილნი წავიდნენ.

იქიდან, სადაც რეზო ძის ბრიგადაა და დათო და ერეკლე ეხმარებიან მწყემსებს, ალაზნის ველი ხელისგულივით მოჩანს. იქ ბალახის ნათესებში კომბაინებს დააგუგუნებენ გიორგი და არსენა; საკვებმომპოვებლებს მწვანე მასის აღებაში ეხმარებიან. შარშანაც ყოჩაღად იმუშავეს, ოთხას-ოთხასი მანეთი გამოიმუშავეს და მერე მოსკოვში ექსკურსიაზე წავიდნენ.

ოცდაერთი ათასი სული ცხვარი ჰყავს ამჟამად სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანებას. როგორც გითხარით, ყოველწლიურად ბევრი საკვები სჭირდებათ. წლეულს უნდა დაამზადონ 1000 ტონა თივა, 400 ტონა სენაჟი, 1800 ტონა სილოსი და სხვა სახის საკვები. გაერთიანებას აქვს იონჯის, ესპარცეტის, ქერისა და შვრიის ნათესები. ნაწილს მწვანე საკვებად აძლევენ ცხვარს, დანარჩენს თივად იღებენ ან წვნიან საკვებს ამზადებენ. ჰოდა, აი, ამ დიდ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ ძმები გიორგი და არსენ ხატიაშვილები. თითოეული მათგანი დღეში 10-15 ჰექტარზე იღებს მწვანე მასას და მანქანას მანქანაზე აგზავნის ცხვრის ბინებში.

საღამოხანს ბიჭებს მამა მიაკითხავს, მოაქუჩებს და შინ მიჰყავს. ძმები ხელ-პირს დაიბანენ, ოფლსა და მტვერს მოიცილებენ და აუტყდებათ ისევ მოუსვენარი ფუსფუსი. ახლა საჭიდაოდ ემზადებიან, ოთხივენი გაერთიანებაში ჩამოყალიბებულ ჭიდაობის სექციაში არიან ჩაბმულნი. სექციის ხელმძღვანელი, მწვრთნელი ვაჟა მოსულიშვილი მათზე დიდ იმედს ამყარებს. სწორედ მისი თაოსნობით გაერთიანების ტერიტორიაზე მდებარე ძველი, გამოცარიელებული სახელოსნო საჭიდაო დარბაზად გადაკეთდა. ხის მასალის ნაწილი გაერთიანების დირექციამ მისცა, ნაწილი თვითონ იშოვეს. სექციის წევრებმა იატაკიც თავიანთი ხელით დააგეს, გამართეს ფანჯრისა და კარის ჩარჩოებიც, მერე ლეიბები შეიძინეს და საქმე გაიჩარხა. დარბაზში ვარჯიშის გარდა შეჯიბრებებიც იმართება, ფალავნების შერკინებას მუდამ ბევრი მაყურებელი ჰყავს.

შარშან და წლეულს რაიონის გუნდურ შეჯიბრებაში გაერთიანების მოჭიდავეებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ნორჩთა შორის გიორგისა და არსენას საპრიზო ადგილები მიანიჭეს. ისინი რესპუბლიკის გუნდში არიან ჩარიცხული. ამას წინათ ხობში რომ გაიმართა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, გიორგის მეოთხე ადგილი არგუნეს, ხოლო „ნორჩი ლენინელის“ პრიზზე შეჯიბრებისას დავითმა რაიონში მე-2 ადგილი დაისაკუთრა. არც ერეკლე გეგონოთ ნაკლები, გულმოდგინედ ეუფლება ძიუდოს, თავისუფალი და ქართული ჭიდაობის ილეთებს. ტოლებში ბევრს ჯობნის, ზოგჯერ უფროს ძმებსაც შეუვარდება ფეხებში. თუ რა მოჭიდავე დადგება, მაგას მომავალი გვიჩვენებს.

ერთ დილით, როცა ძმები ხორნაბუჯის მიდამოებში სამუშაოდ მიემგზავრებოდნენ, ჯემალმა მანქანა გააჩერა და ხელი მთაზე ამართული ციხე-სიმაგრისკენ გაიშვირა.

— აი, იქ, ციხის დაბლა ფერდობზე, მალე ახალი სოფლის აშენება დაიწყება.

— ვინ გითხრა, მამა? — იკითხა ერეკლემ.

— გაზეთში ამოვიკითხე, პარტიის სიღნაღის რაიკომშიც თქვეს.

— რატომ აირჩიეს ეს ადგილი? — დაინტერესდნენ ბიჭები.

— თქვენც ხედავთ, ეს მიდამოები დაუსახლებელია. ბევრია მეცხოველეობის ფერმა. მარტო წნორის მეცხოველეობის კომპლექსს ენამთაზე 16 ათასამდე მსხვილფეხა საქონელი ჰყავს, მაგას ჩვენი გაერთიანების მრავალათასიანი ცხვარი მიუმატეთ, კიდევ ბალახის ფქვილის დასამზადებელი ქარხანა, ეს ამოდენა ვენახები. სათიბები და პურის ყანები. ყველაფერს ადამიან-



„ჭიდაობას რა უნდა...“ ქართული ჭიდაობის ილეთები ძიუდოსაც მოუხდა. წამიც და — გამარჯვებულიც გამოვლინდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, მუშახელი სჭირდება. ძნელია ყოველდღე ხალხის შორი მანძილიდან მოყვანა, რაკი სოფელი გაშენდება. მუშახელიც ადგილობრივი იქნება და მეურნეობის გაძღოლა არ გაჭირდება.

— მართლა წლეულს დაიწყება მშენებლობა?

— როგორი იქნება?

— რას დაარქმევენ? — დააყარეს კითხვები ბიჭებმა მამას.

— წლეულს იწყებენ-მეთქი, ხომ გითხარით, საქართველოს სახმშენის მიერ შემუშავებული გენერალური გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედის ყოველ წელს 40 სახლის, მისასვლელი და შიდასამეურნეო გზების, ელექტროქსელის, საბავშვო ბაგა-ბაღის, სკოლისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა, სახელიც შერჩეულია — ხორნაბუჯი ერქმევა, ძველთაძველი ციხებურჯის სახელი.

— ვინ იცხოვრებს ხორნაბუჯში? — იკითხა დავითმა.

— ჩვენ! — წამოიძახა ერეკლემ და ძმებს შეხედა.

ბიჭებმა უმცროს ძმას გაუცინეს, პასუხი მოეწონათ, ოღონდ არაფერი უთქვამთ. ყველა თავისთვის ფიქრობდა, ვინ იცის, სათითაოდ როგორი წარმოიდგინეს ახალი სოფელი თავისი ქუჩებით, სახლებით, ადამიანებით. იქნებ, მართლაც, რომელიმე მათგანი გახდეს ხორნაბუჯის მკვიდრი? ეს მომავლის ამბავია. მანამდე ჯერ ცოდნის მწვერვალებია დასაპყრობი. აგერ, სექტემბერია კარზე მომდგარი, ძმები მალე სამუშაოს მიატოვებენ. გიორგი და არსენა თავიანთ კომბაინებს გამოეთხოვებიან. დავითი და ერეკლე მწყემსებს დაემშვიდობებიან; არ ეთმობათ იმ მიდამოების მიტოვება, სადაც მთელი ზაფხული გაატარეს, მაგრამ სკოლა და ამხანაგები? საყვარელი მასწავლებლები და წიგნები? უჰ, რამდენი რამე აქვთ მოსაყოლ-გასახსენებელი. მაშ, მშვიდობით, ხორნაბუჯის მიდამოებო, ვენახებო და სათიბებო, საძოვრებო და ცხვარმწყემსებო, მშვიდობით!

## ნოდარ შამანაძე

### სად ყოფილხარ? სად არა?

საქართველო აყვავდა,
ედემს შეესადარა.
და შენ კარგად თუ იცნობ?
სად ყოფილხარ?
სად არა?
ზღვისკენ იწევს ბაღები,
მთები განზე გამდგარა.
სამეგრელო გინახავს?
სად ყოფილხარ?
სად არა?
„მოდინახე“ კლდის ქიმზე
ჯილასავით დამდგარა.
იმერეთში ყოფილხარ?
სად ყოფილხარ?
სად არა?
ქართლი თუ მოიარე,
ზედაზენზე ახვედი?
ინახულე გურია,
მესხეთი და კახეთი?
დაგივლია ფეხდაფეხ
შენი კუთხის წყალ-ჭალა?
რაჭაში თუ ყოფილხარ,
თუ გინახავს აჭარა?
ქართველი ხარ, ბუნებამ
ეს რა მხარე გარგუნა!
ხევსურეთი, თუშეთი
მთებით შემორაგულა.
კოლხეთი კი ვაკეა,
მზე ბაღებში ჩამდნარა.
ყველა კუთხეს თუ იცნობ?
სად ყოფილხარ?
სად არა?

### თბილისელი ბიჭები

თბილისელ ბიჭებს სჩვევიათ,
ძმობას უწევენ ჩიტებს,
მათი კეთილი გულები
უზღვავ სიკეთეს იტევს.
ჩიტებს არ სდევენ შურდულით,
არც უბურდავენ ბუდეს,
დედაჩიტს დარდი არა აქვს,
გული საგულეს უძგერს.
ჭიკჭიკებს, ბავშვებს უგალობს,
ტკბილი ჰანგებით აქებს.
სოფლის ბიჭებო, ამ მხრივ
თქვენ როგორა გაქვთ საქმე?

### ომობანა

— ხის თოფი მაქვს და ხის დანა,
ვითამაშოთ ომობანა.
— ომობანა ეჯავრება
პაპას ომგადახდილს,
ფრონტზე ბრძოლა აგონდება,
ომს იხსენებს ნამდვილს,
ქვემეხი რომ გრიალებდა,
ზეცას ცეცხლი სწვავდა...
სხვა რაც გინდა ვითამაშოთ,
ომობანას გარდა.

### მათი შუქი

მთაწმინდაზე გაგვიწვიმდა,
თავდაღმართზე დავეშვით,
და წვეთები ცრემლებივით
გვიბრწყინავდა თვალებში.
რის ცრემლები, რა ცრემლები,
სატირელი რა გვქონდა,
ყიჟინით და ჟრიამულით
ზეცა მაღლა აგვქონდა.
ჩვენი უკვდავ წინაპრების
სიყვარული მოგვქონდა
და გულებში მათი შუქი
გველვრებოდა ოქროდა.

### „ქართვლის დედა“

გადმოგვყურებს „ქართვლის
დედა“,
საყვარელი და ძვირფასი,
ერთ ხელში აქვს დიდი ხმალი,
მეორეში — დიდი თასი.
მხრებს უმშვენებს ცისარტყელა,
მზის გვირგვინი ადგას თავზე,
საქართველოს სადღეგრძელოდ
სინათლით აქვს თასი სავსე.

### ეს ამბავი

საქართველოს მთა-ბარია
გმირთა სისხლით განაბანი,
დიდი ბრძოლით გადმოგვეცა
მიწა, ჩანგი და ანბანი.
შვილო, კარგად შეისმინე,
ბევრს გავალებს ეს ამბავი.




# ვაჯამებთ დისკუსიას „ჩემი და ჩვენი“

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი 8

ძვირფასო ბავშვებო! ყურადღებით წავიკითხე რედაქციაში თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილები. მე ვფიქრობ, რომ ჟურნალ „პიონერში“ გამართული დისკუსია თემაზე „ჩემი და ჩვენი“ მეტად დროული და საინტერესო წამოწყებაა. საქმე იმაშია, რომ კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ყოველთვის აწუხებდა ეს მძაფრი პრობლემა. დღევანდელ დღეს ჩვენს ქვეყანაში, სადაც ადამიანთა ურთიერთობებისა და ცხოვრების ყველაზე ჰუმანური პრინციპები მოქმედებენ, თითქოსდა ასეთი კითხვა არც კი უნდა დაისვას, მაგრამ, როგორც ჩანს, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრას, რომელიც ადამიანებს ათასწლეულების მანძილზე ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი, რამდენიმე ათეული წელიწადი ჯერ კიდევ არ ჰყოფნის. ასე რომ არ იყოს, მაშინ რატომ უნდა გავაფუჭოთ რომელიმე ჩვენგანმა რაიმე ნივთი ან საგანი, რომელიც ჩვენს პირად საკუთრებას არ წარმოადგენს. განა მათზე იგივე შრომა არაა დახარჯული, რაც ჩვენს საკუთარ ნივთებზე?

აი, თქვენ იწერებით, რომ ზოგიერთი ბავშვი საკუთარ წიგნებს კი უფრთხილდება, მაგრამ ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნს არად დაგიდევს, ზედ ათასგვარ წარწერას აკეთებს, ზოგჯერ კი ფურცლებსაც სევს ხოლმე და ამით, რა თქმა უნდა, დანაშაულს ჩადის მათ წინაშე, ვინც მომავალში ამ წიგნით უნდა ისარგებლონ.

რატომ ხდება ასე? მე ვფიქრობ, იმიტომ, რომ ბევრმა თქვენგანმა არ იცის რაოდენ დიდ სახსრებთან და შრომასთანაა დაკავშირებული წიგნის დაბადება. ვინც ერთხელ მაინც საკუთარი თვალით ნახავს, როგორი სიყვარულით, წვითა და რუდუნებით იქმნება წიგნი ჩვენს გამომცემლობებსა და სტამბებში, არა მგონია, მას ოდესმე წიგნის გაფუჭების სურვილი გაუჩნდეს.

ახლა ამას დაუმატეთ ის დღეები, თვეები და წლები, რომლებიც მწერალს თუ ავტორთა კოლექტივს ამა თუ იმ წიგნისა და სახელმძღვანელოს შექმნაზე თავაუღებელ შრომაში აქვს გატარებული და თქვენ კიდევ უფრო ნათლად მიხვდებით, თუნდაც წიგნის ერთი ეგზემპლარის დახევით რამდენი ადამიანის ენერგია, შრომა და ძალისხმევა იყრება წყალში.

ახლა წარმოიდგინეთ თქვენი მშობლები, რომლებიც მთელი დღის მუშაობით დაღლილები ავტობუსში ან ტროლეიბუსში ადიან და თქვენს მიერ დაჭრილ და დაფხრეწილ სავარძლებში სხდებიან და ასევე დაკაწრულ და შებღალულ კედლებს უყურებენ. მათ ხომ იმწამსვე გაუფუჭდებათ გუნება-განწყობა. თქვენ კი გინდათ, რომ თქვენი მშობლები სულ მუდამ მხიარულები და გაღიმებულები იყვნენ. დიახ, ხშირად მათი მოღუშვის საბაბი სწორედ ასეთი ტრანსპორტით მგზავრობაც შეიძლება გახდეს!

რა თქმა უნდა, როცა მე ამას ვწერ, ჟურნალის ყველა მკითხველს მივმართავ, თორემ მათში, ვინც რედაქციაში ასეთი საქმიანი და გულშემატკივრული წერილები გამოგზავნა, ეჭვი ერთი წუთითაც კი არ მეპარება.

კიდევ ერთი საკითხი მინდა გამოვყო განსაკუთრებით. ესაა ჩვენი კულტურის ძეგლების მოვლა და გაფრთხილება. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ხშირად ნახავ ამა თუ იმ ძეგლზე ამოფხაჭნილ სახელებს, ინიციალებს და კიდევ ათასგვარ უხამს სიტყვებსა და წარწერებს. გასულ წელს მე იტალიაში ვიმოგზაურე, მოგეხსენებათ, რაოდენ დიადი ტრადიციებისა და ხელოვნების ქვეყანაა იტალია და მეც აღფრთოვანებული შევყურებდი უბრწყინვალეს ტაძრებს, ციხე-კოშკებს, ფრესკებსა და სურათებს, მაგრამ იცით, რამ გამაოცა ყველაზე უფრო? გამაოცა იმ სათუთმა და გულისხმიერმა დამოკიდებულებამ, რასაც იტალიელები თავიანთი წარსულის ძეგლებისადმი იჩენენ. მე მოქალაქეებს ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, თორემ კულტურის ძეგლების მიმართ ჩვენი სახელმწიფო რომ ყურადღებას იჩენს, ასეთი ყურადღება მსოფლიოს ბევრ ქვეყანას არც კი მოელანდება. ნებისმიერი იტალიელისათვის წარმოუდგენელია, რომ რომელიმე ტაძარზე ან ციხის კედელზე ვინმემ რაიმე ამოკაწროს ან წააწეროს, და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ეს ძეგლები მათი ეროვნული სიამაყეა. ასეთივე სიამაყეა ჩვენთვის ჩვენი ტაძრები, ციხე-კოშკები და დარბაზები, ჩვენი ფრესკები და უძველესი წარწერები. უფრო მეტსაც ვიტყვი. მე პირადად, კაცი, რომელიც წარსულის ბრწყინვალე დანატოვარს უდიერად მოექცევა, ერის მოღალატედ მიმაჩნია. ნურავის მოეჩვენება მძაფრად ეს გამოთქმა, რადგან ასეთი საქციელის ჩამდენთა შეფასება სხვაგვარად შეუძლებელია.

ჩვენი წინაპარი რომ არ გაფრთხილებოდა ყველაფერ იმას, რამაც ჩვენამდე მოაღწია, განა დღეს უფრო ღარიბები არ ვიქნებოდით კულტურის ძეგლებით? მათი რუდუნებისა და თავდადების გარეშე განა ბევრი ქართული წიგნი და ხელნაწერი მოაღწევდა ჩვენამდე? ის არ გვეყოფა, რაც მტერმა იავარქმნა და დაანგრია საქართველოში?

აბა, ერთი სცადეთ და პატარა ხუხულა ააგეთ, განა გული არ გეტკინებათ, რომ ვინმე თქვენს ნაშრომსა და ნაოფლარს ბოროტად მოეპყრას?

ამდენი იმიტომ გელაპარაკეთ, რომ ბოლოს მეთქვა: ყველაფერი ის, რაც ჩვენს პირად მფლობელობაშია, საზოგადოებრივიცაა, რადგან თითოეული ჩვენგანი თავისი ნიჭით, ენერგიით, შემოქმედებით და ცხოვრებით ქვეყანასა და საზოგადოებას ვეკუთვნით, ასევე, ჩვენ გვეკუთვნის ყველაფერი საზოგადოებრივი, რადგანაც ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაში პირადი და საზოგადოებრივი განუყოფელია.

ბევრი წერილი შემოვიდა რედაქციაში, მაგრამ მე მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდები და მას თითქმის მთლიანად გაგაცნობთ:

„ძვირფასო რედაქციავ, დიდი ხანია ვფიქრობდი დამეწერა ჩემი მოსაზრება „პიონერში“ დაბეჭდილ წერილზე „ჩემი და ჩვენი“.

წავიკითხე თუ არა ეს წერილი, რა თქმა უნდა, გული მეტკინა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არც ერთი ჩვენგანი არ ზრუნავს სახელმწიფო ქონებაზე. ეს იქნება სასკოლო მერხები თუ სხვა ნივთები. ვეთანხმები მზევინარ კონცელიძეს, მზია ქამადაძეს, ია ბერიძეს (1986 წლის 3 ნომერში გამოქვეყნებული წერილები), მაგრამ თვით ისინიც არ აიტკიებენ თავს ყოველთვის. მე ამაში დარწმუნებული ვარ. გთხოვთ, მიპასუხოთ, მართალი ვარ თუ არა? მოუთმენლად ველი თქვენს გამოხმაურებას.

პატივისცემით მ. კ. (16 წლის. სოფ. ბოგვი)

სახელს იმიტომ არ ვწერ, რომ არ მინდა ცუდი შთაბეჭდილება დარჩეთ ჩემზე, რადგან მართალ ადამიანს ყველგან გმობენ (შემიძლია ბევრი მაგალითი მოვიყვანო)“.

როგორც ხედავთ, ავტორი ვინაობას არ ამხელს და ინიციალებს ეფარება. კარგადაც შვრება; რადგან იმ აზრებს, რომლებსაც ის წერილში გამოთქვამს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები.

არა, ჩემო ძვირფასო მ. კ. ბოგვიდან, არა ხარ მართალი, როცა ამბობ, რომ არც ერთი ჩვენგანი საზოგადოებრივ ქონებაზე არ ზრუნავს. ღმერთმა დაგვიფაროს! ასე რომ იყოს, ეს ქვეყანა კარგა ხნის დანგრეული იქნებოდა, ვერც იმაში დაგეთანხმები, რომ მართალ ადამიანს ყველგან გმობენ. მართალ ადამიანს ჩვენში ყოველთვის აფასებდნენ და აფასებენ, და თუ შენ პირადად ვინმემ გაწყენინა, ამის გამო ასეთ აზრს მთელ საზოგადოებაზე ნუ გაავრცელებ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ ჟურნალ „პიონერის“ მკითხველი ხარ, ის მაინც დაგენახა, რომ ყველა მასალა, რომელიც აქ იბეჭდება, მომავალი თაობის სიმართლის, პატიოსნების და ჰუმანიზმის პრინციპებით აღზრდას ემსახურება.

ძვირფასო ბავშვებო! ერთნაირად გაუფრთხილდით საკუთარ და საზოგადოებრივ დოვლათს, რადგან ცხოვრებისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულებაა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საზოგადოების წინსვლის საფუძველი.

**ენვერ ნიჟარაძე,**

**პოეტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი**

## წარსულზე ფიქრით...

ჩოხატაურში არის ძველი არქიტექტურული კომპლექსის — უდაბნოს ნანგრევები. ის, რაც ბუნებისა და დროთაგან შეურყეველი იყო, ადამიანმა გაანადგურა. რაოდენ სულმდაბალი და გონებასუსტი უნდა იყოს ადამიანი, რომ დაანგრიოს ის, რაშიც წინაპართა სუნთქვას გრძნობს და რაც მათი უდიდესი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. ამის ძირითადი მიზეზი, ჩემი აზრით, შეგნების დაბალი დონეა და ისევ ცნება „ჩემის“ აღზევება და „ჩვენის“ დაცემა... არქიტექტურული კომპლექსის მახლობლად მცხოვრებლებმა (ძირითადად, შუაგანახლების მოსახლეობამ) ძეგლთა მასალა საკუთარი ღობეების და ყორეების ასაშენებლად გაზიდეს, სოფლის სასაფლაოც ნაწილობრივ ამ ძველი ქვებისაგან შემოღობეს და საოჯახო მეურნეობაშიც ფართოდ გამოიყენეს. ის, რასაც უნდა გაფრთხილებოდნენ, აღედგინათ და დაეცვათ, თვითონ დაანგრიეს. რისი ისტორია? მათთვის მთავარია „მე“ და „ჩემი“, საზოგადოების, ჩვენი საერთო, ეროვნული საკუთრება კი აღარავის გაახსენდა. ნუთუ არ აღმოჩნდა ერთი მაინც მათში ისეთი, ხმა რომ ამოეღო და მიეთითებინა თანასოფლელებისათვის? ნუთუ ისტორიის მასწავლებელი მაინც არ შეაწუხა ამ ფაქტმა?

**მარინა გედინეიშვილი,**

**ჩოხატაური, გორა.**

## გული მტკივა...

ქუთაისს სავარდო და სამაისო ქალაქს ეძახიან, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ლამაზი ქალაქით, ბევრი სტუმარი ჩამოდის ჩვენთან, რა შთაბეჭდილება უნდა შეექმნას მას, როცა გაფუჭებულსა და გაოხრებულს წააწყდება?

სკოლის მერხები აჭრელებულია ნაირ-ნაირი წარწერებით. აგერ სიყვარულის ფორმულაა „მ+ნ=შ“ (ე. ი. შეყვარებულებს), აგერ ყვავილია მოხატული და გვერდით უწერია: „არ წაშალოთ, რა!“ აბა, ამის დამწერს ჰკითხეთ, სახლში თუ გააკეთებს ამას, თავის მსუბუქ მანქანაზე თუ ამოკვეთს ასეთ ფორმულებს. როგორ გეკადრებათ, ის ხომ „ჩემია“ და არ შეიძლება. მოდით, ნუ ვიქნებით გულგრილნი და მივუთითოთ საერთო ქონების გამფუჭებლებს.

**მანანა არაბიძე,**

**ქუთაისი, 80-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.**

## ჩვენი ვალია

23 მაისი იყო. მე-5-მე-7 კლასები პრაქტიკისთვის ვემზადებოდით. ყველა სასწავლო წიგნი ჩავაბარე და სახლში მოვდიოდი. უცებ დავინახე, რომ მეექვსეკლასელი ბიჭი მისდევს გოგონას და ეუბნება: „დახიე ჩანთა, გოგო, რაღად გინდა, არ გეყო, რაც ათრიე?“ გოგონა ცივ უარზე იდგა, მშობლები გამიწყრებიანო. მაშინ ბიჭმა წაართვა ჩანთა და დაუხია. გოგონამ ტირილი დაიწყო, ბიჭმა — ხარხარი. ვერ მოვითმინე და დავუყვირე: „არა გრცხვენია? ან გოგოს როგორ ეპყრობი? ან ჩანთას რას ერჩი, მისი გამოყენება ხომ კიდევ შეიძლება?“ — „შენი საქმე არ არის, შენი გზით გაიარეო, რა არამკითხე ვიღაცა ხარ, შენთვის ხომ არ დამიხევიაო?!“ — მიყვირა.

**დიანა ღვალაძე,**

**ხაშური, მე-4 საშ. სკოლა, VII კლასი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასტრონომიული საუბრები

# ზოდიაქო

ჩვენს მოკლე ასტრონომიულ საუბრებში გავეცანით ზოგიერთ მთავარ თანავარსკვლავედს და მათთან დაკავშირებულ მითებს.

ახლა მივყვებით ზოდიაქოს თანავარსკვლავედების ამბავს იმ თანამიმდევრობით, როგორც დიდი ქართველი მეცნიერი და მწერალი სულხან-საბა ორბელიანი ასახელებს მათ თავის ქართულ ლექსიკონში — „სიტყვის კონაში“: ვერძი, კურო, მარჩბივი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული, თევზი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ 12 ხომლის გარდა, კიდევ უთვალავი ვარსკვლავია ჩვენი ცის ბროლის კამარაზე, რომელსაც ცის თაღს ვეძახით, თუმცა სინამდვილეში არავითარი თაღი არ არსებობს და ეს უსასრულო სივრცეა, სადაც შეუიარაღებელი თვალით დაახლოებით 5000 ვარსკვლავი ჩანს; საერთოდ, მარტო ჩვენს გალაქტიკაში (ვარსკვლავეთში) ასი მილიარდი ვარსკვლავია. უახლოესი ვარსკვლავიდან — მზიდან სინათლის სხივი ჩვენამდე რვანახევარ წუთში აღწევს, მაგრამ არის ვარსკვლავები, რომელთა სხივს 400 წელი და მეტი სჭირდება, რომ დედამიწამდე მოაღწიოს. ჩვენს ცარგვალზე განლაგებული 88 თანავარსკვლავედიდან 47 „უძველესია“, ე. ი. ძველი დროის მეცნიერები აკვირდებოდნენ მათ უკვე 4000-4500 წლის წინათ.

აქედან ჩვენ ზოდიაქოს 12 თანავარსკვლავედს გავეცნობით, გოტჰარდ შტორჰმაიერის წიგნის მიხედვით.

ა. გელოვანი




## 1. ვერძი

როცა ბაღდადის ხალიფის მფარველობაში მყოფი ასტრონომები ბერძენთა ზოდიაქოს („მხეცთა წრეს“) გაეცნენ, ყველაფერი ეს ბერძნების მოგონილი ეგონათ და ბერძენი პოეტის არატოსის მშვენიერ ლექსებში გადმოცემულად ჩათვალეს. შემდეგ, როცა შუამდინარეთის ლურსმული დაფების მთელი არქივი იპოვეს, აშკარა გახდა, რომ ბევრი თანავარსკვლავედი (ლომი, კურო, თხათევზა ანუ თხის რქა და სხვები) ბერძნებზე ადრე დახატული და დახასიათებული ჰქონდათ ბაბილონელებს.

ვერძი ამ სახით შუამდინარეთში არ ჩანს, მაგრამ ბერძენთა წარმოდგენაში ის უძველესი წარსულიდან შესულა და არაბ ასტრონომებსაც სცოდნიათ „ვერძის რქები“. ბერძნებმა ეს თანავარსკვლავედი დაუკავშირეს არგონავტების მითს, რომელსაც დიდი ტრაგიკოსები იცნობდნენ ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში.

მითის მოკლე შინაარსი ასეთია: ორქომენის მეფეს ათამანტეს, კოლხთა ნათესავს, ცოლად ჰყავდა ღრუბელთა ქალღმერთი ნეფელე. უდარდელად თამაშობდნენ მათი შვილები ჰელე და ფრიქსე, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ათამანტემ მიატოვა ნეფელე და ჯადოქარი ინო შეირთო. დედინაცვალმა გერები ჭირივით შეიძულა და მათი თავიდან მოშორება განიზრახა. ამ მიზნით მზაკვრული ხრიკი მოიგონა. ორქომენელი ქალები დაიბარა, ჩააგონა, ხორბალი დათესვამდე ცეცხლზე მოხალეთო. მოხალული თესლი არ გაღივდა და ბეოტიაში შიმშილობა დაიწყო. მაშინ ათამანტემ დელფოს სამისნოში შიკ-



რიკები გაგზავნა და აპოლონს უბედურების მიზეზი ჰკითხა: ეს შიკრიკები წასვლის წინ ინომ დაიბარა და საჩუქრებით მოისყიდა — მათაც მეფეს ყალბი ცნობა მიაწოდეს: შიმშილობა არ შეწყდება, ვიდრე ღმერთებს მსხვერპლად არ შესწირავთ ჰელეს და ფრიქსეს. მამას სხვა გზა არ ჰქონდა, შვილები ხალხისათვის უნდა შეეწირა. ყმაწვილებმა რა იცოდნენ, როგორი საფრთხე ელოდათ! მხიარულად თამაშობდნენ ტყეში უეცრად ოქროს ბეწვიანი ვერძი გამოჩნდა და ბავშვებთან მივიდა. ეს იყო ნეფელეს მიერ შვილების გადასარჩენად მოგზავნილი ვერძი. მან ბავშვები ზურგზე შეისვა, ღრუბლებში აფრინდა და კოლხეთისაკენ გაეშურა. სრუტის თავზე რომ მიფრინავდა, ჰელემ დაბლა გადაიხედა, შიშისაგან თვალები აუჭრელდა და წყალში ჩავარდა. იმ სრუტეს, რომელშიც ჰელე დაიხრჩო, ჰელესპონტი — ჰელეს ზღვა დაერქვა; ფრიქსე კოლხეთში მშვიდობით ჩავიდა, მეფე აეტს შეეხიზნა; ვერძი კი დაკლეს, მისი ოქროს საწმისი (ტყავი) აიეტის ასულის მედეას ბაღში მუხაზე დაჰკიდეს, მცველად კი საშინელი გველეშაპი მიუჩინეს. ამ საწმისის მოსატაცებლად ჩამოვიდნენ შემდეგ კოლხეთში არგონავტები.

ფრიქსეს გადარჩენისათვის ღმერთებმა თითქოს ცაზე მოათავსეს ღვთაებრივი ვერძი. ეს მითი კოლხეთის ოქრომრავლობის ასახვა იყო ბერძნულ მითოლოგიაში.

## 2, კურო

ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში ერქვა ზოდიაქოს მეორე თანავარსკვლავედს „ციური ხარი". როცა ის ბერძნებმა გადაიღეს, გულმოდგინედ გადაავლეს თვალი თავიანთ მდიდარ მითოლოგიურ საგანძურს, რათა ხომლისათვის შესაფერისი მითიური ხარი გამოენახათ: მეცნიერთა ერთმა ნაწილმა გაიხსენა ის ხარი, რომლის სახეც მიიღო ზევსმა, რათა თავისი რჩეული, მეფის ასული ევროპა ზღვა-ზღვა ცურვით გაეტაცა ხმელეთის იმ ნაწილზე, რომელსაც ამ მეფის ასულის სახელი — ევროპა დაენათლა. სხვები ამ თანავარსკვლავედში ხედავდნენ საშინელი ურჩხულ-ხარის — მინოტავრის მშობელ ზღვის ხარს, რომელიც ჩრდილოეთის გვირგვინის თანავარსკვლავედს უკავშირდება. კაციჭამია მინოტავრი კრეტის საშინელ მიწისქვეშა ლაბირინთში თეზევსმა მოკლა. მანვე მოკლა მეორე მძვინვარე ხარი, რომელიც მარათონის მიდამოებს აოხრებდა. თითქოს ეს ხარიც ითხოვდა საკადრის ადგილს ცის თაღზე. ზოგი ამ ადგილას ათავსებდა ზევსის სატრფოს იოს, რომელიც ღმერთების მამამთავარმა თეთრ ქათქათა ძროხად აქცია, რათა მეუღლისათვის — ეჭვიანი ჰერასათვის თვალი აეხვია. ხარის გამოსახულებას კვეთს ვარსკვლავთა ორი სხვა ჯგუფი: თავთან ჰიადები, ზურგზე პლეადები — შვიდი მშვენიერი ქალწული, ზევსის ასულები, რომელთაც ბუმბერაზი გმირი ორიონი დასდევდა და ავიწროებდა, ვიდრე ზევსმა შვიდივე ცის თაღზე არ მოაქცია ვარსკვლავების სახით. სულ პლეადებში ხუთასამდე ვარსკვლავია. ყველაზე უფრო კაშკაშა — კუროს მარჯვენა თვალია, რომელსაც არაბულად ალდებარანი (ხარისთვალა) ეწოდება. ჰიადები პლეადების დები არიან. მათაც უბედურება დაატყდათ: მათი ერთადერთი ძმა ჰიასი (ჰიანტი) ლომმა დაგლიჯა. დები მანამდე დასტიროდნენ დაღუპულ ძმას, ვიდრე ზევსმა არ შეიბრალა და „წვიმის მომყვან" ვარსკვლავებად არ აქცია ისინი, პლეადები და ჰიადები დღესაც დასციმციმებენ თავზე დედამიწას და მათ ყველა ხალხი ამინდის ცვალებადობას უკავშირებს. კუროს თავთან კი 1054 წელს აფეთქდა ზეახალი ვარსკვლავი, ამჟამად კირჩხიბის ნისლეულის სახელით ცნობილი.



### მაიმუნების სკოლა

ტაილანდში არსებობს მსოფლიოში ყველაზე საოცარი კურსები. აქ მსმენელებად მაიმუნები არიან. „სტუდენტები" პრაქტიკულად სწავლობენ ქოქოსის კაკლის კრეფას. საწვრთნელების ყველაზე ნიჭიერი კურსდამთავრებული დღეში 1400-მდე ქოქოსის კაკალს კრეფს.

### მთავარია სისუფთავე

ინგლისის ქალაქ კრენსფორდის ტექნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს რობოტი-დამლაგებელი, რომელიც საცხოვრებელ და სამოსამსახურო ოთახებს სრულიად დამოუკიდებლად ალაგებს.

გადამწოდების საშუალებით რობოტი იმახსოვრებს, სად რა ავეჯი დგას, ამის შემდეგ იწყებს დალაგებას და ისე ალაგებს, რომ მტვრის ნასახსაც კი არ ტოვებს.

მექანიკური დამლაგებლის ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ თუ ვინმემ ავეჯი გადაადგილა და იქვე დატოვა, რობოტი ამ ავეჯს ნაფოტებად აქცევს და გადაყრის, როგორც ნაგავს. ინჟინრებს იმედი აქვთ, რომ მათი აზრით, ამ მცირე ნაკლსაც გამოასწორებენ.

### ესეც სამსახურია

ინგლისელ ფრედ კერტისს უცნაური სამსახური აქვს — იგი ყოველ დილით ეშურება ზღვის ნაპირზე. საათობით ზის იქ და თვალყურს ადევნებს, მეკობრეები ხომ არ გამოჩნდნენო. ეს არის და ეს მთელი მისი მოვალეობა. ზედამხედველის ეს თანამდებობა 1830 წელს იქნა შემოღებული, როცა ნაპირს მომდგარი ფრანგი მეკობრეები თავს ესხმოდნენ პატარა ქალაქ უინჩელსს.



## საქართველოს სსრ წითელი წიგნი



შავარდენი იშვიათი, მცირერიცხოვანი ფრინველია, გავრცელებულია ყველა მატერიკზე, ანტარქტიდის გარდა. საქართველოში შავარდნები ერთეული წყვილების სახით გვხვდება: საგურამოში, ატენის ხეობაში, ტაბახმელა-შინდისის, მანგლისის, ბირთვისის მიდამოებში, მესხეთში, ჯავახეთში, ხევსურეთში, სამეგრელოსა და აჭარაში.

შავარდენი ტყეების მომიჯნავე ღია ადგილებში ბინადრობს, თუმცა სრულიად ღია, ვაკე ლანდშაფტს გაურბის. საქართველოში ამ ფრინველის რიცხვი ძალზე მცირეა, განსაკუთრებით დაეცა მისი რიცხოვნობა ბოლო 20-30 წლის განმავლობაში. დედალ-მამალი მუდმივ წყვილებს ქმნიან (ერთ-ერთის სიკვდილამდე) და საბუდარ ადგილებს მრავალი წლის განმავლობაში იკავებენ. შავარდენი თვითონ ბუდეს არ იშენებს და სხვა ფრინველებისთვის წართმეული ან მიტოვებული ბუდეებით სარგებლობს. ჩვენში ეს ფრინველი კვერცხებს (2-4 ცალს) ხშირად კლდეების ნაპრალებსა და ბზარებში დებს. ინკუბაციის ხანგრძლივობა 28-29 დღე-ღამეა, კრუხობს ძირითადად დედალი, და მხოლოდ მცირე ხნით ენაცვლება მას მამალი. მართვეები გამოჩეკიდან მე-40 დღეზე ტოვებენ ბუდეს.

შავარდენის რიცხოვნობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი არის მტაცებელი ფრინველების მოკვლისათვის ადრე არსებული პრემირების წესი. უნდა გავუფრთხილდეთ ამ საინტერესო ფრთოსანს, დავიცვათ მათი საბუდარი ადგილები.

### „ალმოდებული თოვლი“

რკინის კონსერვის ქილაში ჩაყარეთ თოვლი, კარგად დატკეპნეთ და შუაში ჩაღრმავეთ. ღრმულში ჩადეთ კალციუმის კარბიდის 3-4 პატარა ნატეხი და მასაც თოვლი მიაყარეთ. თუ იმ ადგილს ასანთს მიუახლოვებთ, გაჩნდება ალი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ცეცხლი თოვლს უკიდიაო.

ცდის ახსნა: $CaCl_2 + 2\ H_2O \rightarrow Ca(OH)_2 + C_2H_2 \uparrow$

$C_2H_2$ აცეტილენია.

სწორედ იგი აალდება ასანთის მიახლოებისას.

### „ცეცხლი-მხატვარი“

მოამზადეთ კალიუმის ნიტრატის ნაჯერი ხსნარი. მასში ამოვლებული ხის წკირით ქაღალდის ფურცელზე რამე დახატეთ ან წააწერეთ (ნახატიც და წარწერაც უწყვეტი უნდა იყოს), ქაღალდი ფირფიცრის ნაჭერს დააკარით, აანთეთ კვარი, მერე ჩააქრეთ და ცხელი ბოლო ქაღალდს მიუახლოვეთ. ალი წარწერის ან ნახატის კვალდაკვალ წავა და უკან ამომწვარ არხს დატოვებს.

ცდის ახსნა: ქაღალდის წვას ხელს უწყობს ნიტრატის დაშლისას წარმოქმნილი ჟანგბადი: $2\ KNO_3 \rightarrow 2\ KNO_2 + O_2$




## ქიმია

## ქიმიური „სასწაულები“

### ბენგალიური ცეცხლი

ყვითელი, მწვანე და წითელი ბენგალიური ცეცხლი შეიძლება მივიღოთ ასეთი ნივთიერებებით:

ყვითელი: 61 გრ $KClO_3$; 32 გრ $S$; 30 გრ $Na_2CO_3$.

მწვანე: 60 გრ $KClO_3$; 16 გრ $S$; 24 გრ $BaCO_3$.

წითელი: 10 გრ $KClO_3$; 22 გრ $S$; 2 გრ $C$; 67 გრ $Sr(NO_3)_2$.

ეს ნივთიერებები ცალ-ცალკე კარგად გამოაშრეთ გამშრობ კარადაში, გააფხვიერეთ ფაიფურის როდინში. აღებული წონაკები ხის კვარის წკირით სქელი ქაღალდის ფურცელზე ერთმანეთში აურიეთ, გადაიტანეთ რკინის ფურცლებზე (2-3 გრ) და მიუახლოვეთ ანთებული კვარი. ნარევი მყისვე აინთება.

### სპირტქურის ანთება უასანთოდ

სპირტქურას თავი მოხადეთ და მიუახლოვეთ მინის წკირი, რომელიც ჯერ გოგირდმჟავაშია დასველებული, ხოლო შემდეგ ამოგანგლულია კალიუმის პერმანგანატში. თუ ამ დროს იდუმალი ხმით დაიჩურჩულებთ — „სპირტქურავ, აინთე!“ — მაყურებელი „სასწაულებრივი“ ეფექტის მოწმე გახდება: სპირტქურის პატრუქი უცეცხლოდ აინთება.

ცდის ახსნა: $2\ KMnO_4 \rightarrow K_2MnO_4 + MnO_2 + O_2$.

გამოყოფილი ჟანგბადი ხელს უწყობს სპირტის წვას.

ლამარა გორჯოლაძე,
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# პიონერული ოთხჭიდი «მეგობრობა»



1955 წელს პოლონეთის გაზეთ „სვიატ მლოდიხის“ რედაქციამ ჩაატარა პირველი შეჯიბრება მძლეოსნურ ოთხჭიდში პიონერებს შორის. ერთი წლის შემდეგ ეს ასპარეზობა უკვე საერთაშორისო რანგისა გახდა და „მეგობრობა“ ეწოდა.

თავდაპირველად შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა 60 მეტრზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომები და ბურთის ტყორცნა.

1978 წლიდან სიგრძეზე ხტომის ნაცვლად ასპარეზობის პროგრამაში შეიტანეს გოგონებისათვის — 500 მეტრზე, ხოლო ბიჭებისათვის — 800 მეტრზე რბენა. შემოიღეს სათანრიგო ნორმატივები.

„მეგობრობის“ პირველი სტარტები საბჭოთა კავშირში 1956 წელს გაიმართა. ინიციატორის როლში მოგვევლინა გაზეთი „პიონერსკაია პრავდა“, რომელსაც მხარი დაუჭირეს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ცენტრალურმა საბჭომ და სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა.

პიონერული ოთხჭიდის პოპულარობა ჩვენს ქვეყანაში თანდათან იზრდება. ეს გასაგებიცაა, მასში ხომ სპორტის დედოფლის — მძლეოსნობის ცალკეული დისციპლინები შედის, მძლეოსნობა კი ყველაზე მასობრივი და პოპულარულია ჩვენში. იგი შეტანილია სასკოლო ფიზკულტურისა და მშთ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის პროგრამაში და „იმედის სტარტების“ ბავშვთა საკავშირო თამაშებში. საერთო ფიზიკური მომზადებისათვის მძლეოსნური ვარჯიშები სჭირდება ყველა ფიზკულტურელს, აგრეთვე ცალკეულ სახეობათა სპორტსმენებს — ფეხბურთელებს, ჰოკეისტებს, რეგბისტებს, მოჭიდავეებს, მოკრივეებს, მოციგურავეებს, ჩოგბურთელებს, ძალოსნებს, მოთხილამურეებს...



საინტერესოა, რომ ბევრმა სახელოვანმა სპორტსმენმა თავისი სპორტული გზა სწორედ პიონერული ოთხჭიდით დაიწყო. მათ შორისაა საქართველოს საამაყო სპორტსმენი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამმაგ ხტომაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ლენინის ორდენოსანი ვიქტორ სანეევი. პიონერულმა ოთხჭიდმა „მეგობრობამ“ სხვა ბევრი ცნობილი სპორტსმენიც გამოავლინა და გამოიყვანა დიდ სარბიელზე. ასეთი შეჯიბრებები ყმაწვილებს აჩვევს კოლექტიურობას, უღვივებს პატრიოტულ გრძნობებს.

შეჯიბრებებში მრავალი სკოლის გუნდი მონაწილეობს. შემოღებულია „მეგობრობის“ ჩემპიონებისა და რეკორდსმენების ცხრილი.

პიონერთა ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობენ 12-14 წლის მოსწავლეები, ექვსი ბიჭი და ექვსი გოგონა. იმართება ჯერ რაიონული, მერე კი საოლქო, რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ვ. გენგიურის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა



● გაზქურიდან ცხელი ქვაბის ჩამოსადგმელად ქსოვილის მოსაჭიდს ხმარობენ. თუ ქსოვილში მაგნიტის ნატეხს ჩააკერებ, მოსაჭიდი შეგიძლია გაზქურას, მაცივარს ან ნიჟარას მიამაგრო და თვალს აღარ მიეფარება ხოლმე.



● შალის წინდები რეზინის ჩექმებში ისეთი სისწრაფით ცვდება, თითქოს იწვისო. თუ რეზინის ფეხსაცმლით ხშირი სიარული გიხდება, უთუოდ გამოგადგება ასეთი რჩევა: ძველი შალის წინდის ან სვიტერისაგან ფაჩუჩები გამოსჭერი და კაპრონის წინდებს შიგა მხრიდან დააკერე. ფეხიც თბილად გექნება და წინდაც ნაკლებად გაგიცვდება.



● თუ ფაიფურის ჩაიდანს სახელური მოძვრა ან ფაიფურის თეფში გაგიტყდა, ძალიან ნუ დაღონდები. ტეხის ადგილები კარგად გაახურე, ნატეხებს შორის პოლიეთილენის აფსკი მოათავსე და მაგრად მიაჭირე ერთმანეთს. მიღებული ნაკერი მტკიცეა და ძნელად შესამჩნევი.



● თუ აბრაზიული წრე გაგიტყდა, ნატეხს ნუ გადააგდებ, მიეცი მას საპნის ფორმა და მისი საშუალებით უფრო უკეთ შეძლებ მანქანის ზეთით ან სხვა საპოხით გასვრილი ხელების გასუფთავებას, ვიდრე ამას პემზით მოახერხებდი.



● პური დიდხანს რომ არ დაძველდეს და არ დაობდეს, ჩადე იგი პოლიეთილენის პაკეტში და მაცივრის ზემო თაროზე შეინახე. პაკეტი პურს გამოშრობისაგან, დაბალი ტემპერატურა კი — დაობებისაგან დაიფარავს.



● მტვერსასრუტის შლანგს დამატებით ამომრთველს თუ გაუკეთებ, ამით მანქანის ოპერატიულობასაც გაზრდი და ელექტროენერგიასაც დაზოგავ. დიასახლისისთვისაც მოხერხებული იქნება. გამტარი ელექტროჩანგლითურთ შლანგს მწებვარე ლენტით მიამაგრე, როზეტი კი კორპუსზე დააყენე



# სარჩევი


თ. ცაგარელი — ცისკარი-86 (წერილი) . . . გარეკ. 2
ზ. ჭუმბურიძე — ქართული ენის დიდი მოამაგე (წერილი) 3
ალ. დიდებაშვილი — ლექსები . . . . 6
ზ. ქინქლაძე — ფორონჯი (მოთხრობა) . . . 7
უცხოური იუმორი . . . . . 13
ნ. ხარაზიშვილი — ბუნების დიდი სიყვარულით (ნარკვევი) . 14
ი. ტელმანი — უსიხარულო ბავშვობა (მოგონება) . . 17
მ. გელაშვილი — იცით, რა გოგოა დედუნა? (წერილი) . 19
კ. დევდარიანი — ტყის ზღაპარი (მოთხრობა) . . . 20
ვლ. ასლამაზიშვილი — ძმები (ნარკვევი) . . . 22
ნ. შამანაძე — ლექსები . . . . . . 25
აისი . . . . . . . 26
ზოდიაქო (წერილი) . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . . . . 29
ბუნების კარი . . . . . . . 30
სახალისო ქიმია . . . . . . . 30
გ. ბარჯაძე — პიონერული ოთხჭიდი „მეგობრობა“ (წერილი) . 31
გამოგადგები . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . გარეკ. 3



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა გივი პეტრიაშვილისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის—93-97-08, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23. 06. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 08. 86 წ., ქაღალდის ფორმატი 60X9¹/₃. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ 1537 ტირაჟი 155.000. ეგზ., უე 01287

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 155.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1986 წ.

## გამოცანები

უყვარს ბეღელში ნავარდი,
ზოგჯერ სახლშიაც გვეწვევა,
თხილსა და კაკალს იპარავს,
თუ სადმე წამოეწევა.

ტყის მობინადრე გახლავართ,
კლდის ნაპირებშიც ვიზრდები,
ლამაზი ქოლგით მოვდივარ,
ავდარს არ შევუშინდები.

ტყუპად სულ წრეში დადიან,
ძმებია მაღალ-დაბალი,
დაბალი ერთ წრეს აკეთებს,
თორმეტს აკეთებს მაღალი.

ერთმა უენო არსებამ
შორი მანძილი იარა,
მოვიდა, ალაპარაკდა,
ამბები გამიზიარა.

ნ. ბვარიშვილი

ფურცელია ქაღალდისა,
შვენის ფერთა ჯავარი,
ზედ ეტევა დედამიწა
თავის კიდე-კამარით,
აქ ერთ წამში ზღვას და
ხმელეთს
ოცნებების ამალით
შემოივლი, არ გჭირდება
შორი გზები სავალი,
არც მანქანა, არცა ცხენი
და არც წელი მრავალი.

გ. მარცვალაშვილი

ცემით ბუდეში ჩასმული
ზევით ამოჰყავს ძალით,
კისერში უჭერს კბილებს
სულ რამდენიმე წამით,
აიყვანს, დასვამს მშვიდად,
საქმეც მთავრდება ამით.




თუ გამოირთო შუქი,
იმისი ჯერი დგება.
მაგრამ კაშკაშა ქუდი
თავზე რომ მოერგება,
საკუთარ ცრემლის ტბაში
შეცურებული კვდება.

გ. შეთეკაური

არც ექიმი სჭირდება,
და არც ლოცვა-ვედრება —
დღეს თუ კუდი დაკარგა,
ხვალ-ზეგ წამოეზრდება.

თმაში ვწვდი და ამოვაძვრე,
შევიპყარ და არ მოვეშვი.
დავიმკლავე, მივადექ და
ცხარე ცრემლით,
მწარე ხვნეშით
ასი კაბა გავხადე და...
არაფერი შემრჩა ხელში.

ნ. მარიხია

## შარადები

ჰიქაში თაფლისფერია,
მინდორში მწვანედ ღელავს,
მას მიუმატე მეექვსე
მუსიკალური ბგერა,
მერე კი შუა ხმოვანი
ჩამოაცალე ხელად.
დანარჩენს თვითონ მიხვდები,
არ დაგჭირდება შველა.

მტრის მოქნეული ხმლისაგან
თავდასაცავი რაც არი,
წინ დაუმატე იმ სახელს
მისივე წინა მარცვალი. —
ლომის კისერზე დაყრილი,
ლუის, ვითარცა ხანძარი.

შ. ამირანაშვილი

## ლაბირინთი



სცადეთ, იქნებ მოძებნოთ ლაბირინთში შესასვლელი და გამოსასვლელი. მარშრუტი ფანქრით გასაზეთ. თუ იმ გზამ „გარეთ" ვერ გამოგიყვანათ, წაშალეთ და ხელახლა სცადეთ ბედი.

## თავსატეხი






ნიკომ და ქეთინომ ძველი ციხის ნანგრევებში ქართული ასომთავრულით შედგენილი წერილი იპოვნეს. ქეთინომ მხოლოდ ექვსი ასო იცნო, ნიკომ — ვერცერთი. დაეხმარე ბავშვებს ამ წერილის წაკითხვაში.

ნანა იოსელიანი

### პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

**კროსვორდი**

თარაზულად: 1. ოდიში; 4. ფლორა; 8. ლებარდე; 11. ტყე; 12. ოდა; 13. პიგმეი; 15. ხაიკოუ; 17. რიფი; 18. შალი; 20. გნოლი; 22. ლაოსი, 23. ნაურუ; 25. იკაბია; 26. არგონი; 27. ავარია; 29. ბუნება; 31. ირასუ; 32. ირემი; 34. ფაუნა; 36. რომი; 39. ტარო; 40. ასპიდე; 42. არაგვი; 44. მთა; 46. ილი; 47. ორაგული; 48. ჰანოი; 49. სერია.

შვეულად: 2. დღე; 3. შოვი; 5. ლოქო; 6. რკო; 7. ფტორი; 8. ლომი; 9. ელია; 10. კალია; 13 პითონი; 14. იუნონა; 15. ხელადა; 16 უშგული; 19. ნიკარაგუა; 21. ინდონეზია; 22. ლიგნიტი; 24. ურბნისი; 27. აპათია; 28. აფთარი; 29. ბრინზა; 30. აგენტი; 33. გრემი; 35. ტოკიო; 37. პინო; 38. ბალი; 41. სურო; 43. ვერე; 45. აბა; 46. იეი.

**გამოცანები**

ასკილი, ქიუხი და ჯიხვი. საშუალო, თვალი და წამწამები. კომბოსტო. ვერხვი.

**მეტაგრამები**

ნული, გული;
ტარი, ტარო

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რა კარგია ზღვა

რა კარგია ლაჟვარდულად
მოკამკამე ზღვა,
მისი ფერთა ლივლივი და
იდუმალი ხმა!

გარუჯულებს, გაზანგულებს
გვეფერება სულ,
გავკაჟდეთ და გავხალისდეთ —
მშობელივით სურს;

სურს, რომ კვლავაც სიყვარულით
მივაშუროთ ხვალ...
რა კარგია კურთხეული
ჩვენი შავი ზღვა!

სიმონ ზამფრიანი

დ. იაკობაშვილის ფოტო

ინდექსი 76157

ფასი 20 კაპ.